

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

24 ივლისი, 2025



№ 5 [ 2259 ]



**ახალი შესაძლებლობა ახალგაზრდა არქეოლოგებისთვის**  
ურთიერთთანამშრომლობის რა მემორანდუმს მოეწერა ხელი?

12 გვ.

**თსუ-ში ნატოს მხარდაჭერით საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების ტრენინგი გაიმართა**

ლონსძიებაში მონაწილეობდნენ ექსპერტები 18 ქვეყნიდან

3 გვ.



**გამორჩეული კვლევა რეგიონში მედიამანიპულაციების ევოლუციაზე**

მკვლევარი, რომელიც წარმატებით უთავსებს კვლევით და მედიაპრაქტიკულ საქმიანობას

9 გვ.



**ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერებები - ინტეგრაცია და მმართველობა“**

**რის საფუძველზე მიიღებენ სტუდენტები ორი და მაქსიმუმ ოთხი უნივერსიტეტის საერთაშორისოდ აღიარებულ დიპლომს პოლიტიკის მეცნიერებაში?**

თსუ-ში საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობის კიდევ ერთი წარმატებული მაგალითი დაფიქსირდა.

3 გვ.

**სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიხეილ კვესელავას ხსოვნას მიეძღვნა**

4 გვ.



**კვლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენის კუთხით**

4 გვ.



**სტუდენტური ფურცელი**

5-12 გვ.



სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – პოლიტიკა, საზოგადოება, კულტურა“

7 გვ.



**თენგიზ კიკაჩიშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი XIX საფაკულტეტო კონფერენცია თსუ-ში**

14 გვ.



**ერთი წელი გავიდა ბატონ თენგიზ ცერცვაძის გარდაცვალებიდან...**

მისი პროფესიული გზა მჭიდროდ უკავშირდებოდა თსუ-ს

15 გვ.



ქრონიკა



მონვეული ლექტორები ნიდერლანდების, იტალიისა და აშშ-ს უნივერსიტეტებიდან ქართველ ლექტორებთან ერთად კითხულობენ ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციოლინგვისტიკის მეორე საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში.

საზაფხულო სკოლის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ს რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, სკოლის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ ბოლქვაძე და საზაფხულო სკოლის მონვეული ლექტორები.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობენ სტუდენტები თსუ-სა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, ასევე უცხოელი სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან.

ლონისძიების ორგანიზატორები არიან: სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება.

სოციოლინგვისტიკის საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავს ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ეთნოლოგია-ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სადოქტორო პროგრამის შემდგომი პერიოდის სპეციალისტებს მისცეს ცოდნა სოციოლინგვისტიკის თეორიასა და პრაქტიკაზე, ენობრივ კონტაქტთა სახეებსა და შედეგებზე, ლინგვისტურ სიტუაციაზე, სახელმწიფოში ენათა იერარქიაზე, ენობრივ პოლიტიკასა და ადამიანის ენობრივ უფლებებზე.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და სამსახურის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა კობა კობალაძემ მოაწერეს.



შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების ხელმისაწვდომობას და ახალგაზრდა თაობაში პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავების მნიშვნელობას.

ჯაბა სამუშიამ ხაზი გაუსვა ვეტერანების მხარდაჭერის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა საზოგადოების გამორჩეული ნაწილის — ვეტერანებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა. რექტორის ინიციატივით,

ვეტერანების მონაწილეობით უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაიმართება საჯარო ლექციები, რომელთა თემატიკა იქნება საქართველოს უახლესი ისტორია, ტერიტორიული მთლიანობისთვის და დამოუკიდებლობისთვის გაწეული ბრძოლები და გმირი მებრძოლების მაგალიტები.

ასევე გამოითქვა ინტერესი, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ჩაერთონ მოხალისეთა მომზადების პროგრამაში, რომელსაც ა(ა)იპ „ახალგაზრდობა და ვეტერანები ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის“ ახორციელებს გამბორის ცენტრში.

მემორანდუმის მიზანია, უფრო ეფექტიანად განხორციელდეს ვეტერანებისა და მათი შვილების უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამა, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს და დღემდე უკვე 5000-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან გივი მიქანაძესთან, სხვა უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

თსუ-ს რექტორმა აღნიშნა ის წვლილი, რომელიც მთელი მისი არსებობის ისტორიაში შეიტანა გორის უნივერსიტეტმა რეგიონსა და მთლიანად ქვეყანაში ქართული საქმის კეთების, განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა გორის უნივერსიტეტთან. ამ



უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები. ჩვენს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა დღესაც გრძელდება“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ხერსონის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ალექსანდრ სპივაკოვსკისთან ერთად თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

მემორანდუმი ითვალისწინებს უნივერსიტეტებს შორის აკადემიურ თანამშრომლობას, გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობას, სასწავლო და კვლევითი გამოცდილების გაზიარებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით,



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზად არის ხელი შეუწყოს უკრაინელი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას თსუ-ში. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხერსონის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი პროექტების განხორციელება და გამოცდილების ურთიერთგაზიარება“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

მემორანდუმი ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, სტუდენტების მობილობას, ერთობლივი კონფერენციების დაგეგმვას, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია „ალბათობის თეორიასა და სტატისტიკაში“ გაიხსნა, რომელიც გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსისა და პედაგოგის, პროფესორ ესტატე ხმალაძის დაბადებიდან 80 წლისთავს მიეძღვნა.



კონფერენციაში მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნის 50-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის: იაპონიის, ამერიკის, საფრანგეთის, ბელგიის, კანადის, შვეიცარიის, ავსტრალიის, ნიდერლანდების, ინდოეთის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებიდან. ხუთდღიან კონფერენციასა და ვორკშოპებზე მეცნიერები მსჯელობდნენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა: პარამეტრული და არაპარამეტრული სტატისტიკა; ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები მაღალგანზომილებიანი სივრცეებში; ემპირიული პროცესები; სტოქასტური მოდელები ფინანსურ და აქტუალურ მათემატიკაში; სტატისტიკური მეთოდები ასტროფიზიკაში, გეომეტრიისა და სტატისტიკის ურთიერთკავშირი და სხვა.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ამერიკული კომპანია Astria Learning-ის აღმასრულებელ დირექტორთან ჯეფ ბორდესთან და კომპანიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.



შეხვედრაზე ონლაინ სწავლების ხელშეწყობის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასერტიფიკატო კურსების დისტანციურად შეთავაზების საკითხები განიხილეს.

Astria Learning ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილი ელექტრონული სწავლების პროვაიდერი კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით უნივერსიტეტებს ეხმარება ონლაინ სწავ-

ლების დანერგვაში, რათა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უფრო ხელმისაწვდომი და მასშტაბური გახადონ სწავლება და მისწვდნენ ნებისმიერ მოსწავლეს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას.

რექტორმა ჯაბა სამუშიამ ონლაინ სწავლებისა და სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობებზე ისაუბრა. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ხელს უწყობს თანამედროვე განათლების ხელმისაწვდომობას. ეს არის ჩვენი მომავალი“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

შეხვედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი ლაშა სალინაძე, თსუ-ს რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მარია კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტს (UMCS), სამართლისა და ადმინისტრაციის ფაკულტეტის სამართლის მეცნიერებათა ინსტიტუტის შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ს პროფესორმა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი ბურდულმა, UMCS-ის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა არკადიუმ ბერეზამ, სამართლისა და ადმინისტრაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა იაროსლავ კოსტრუბიეცმა და სამართლის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა მარეკ კულიკმა მოაწერეს.



მემორანდუმი ითვალისწინებს ფართომასშტაბიან და მრავალმხრივ პარტნიორობას, რომელიც მოიცავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ორმხრივ გაცვლით პროგრამებს, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას, საერთაშორისო კონფერენციებისა და აკადემიური პუბლიკაციების ორგანიზებას, აგრეთვე ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივების წამოწყებას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორივე უნივერსიტეტის მედიაციის ცენტრების თანამშრომლობას, რაც მიმართულია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების განვითარებასა და ამ მიმართულებით კვლევებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

მემორანდუმით საფუძველი ეყრება რეგიონთაშორისი აკადემიური თანამშრომლობის მდგრად ქსელს, რომელიც გააერთიანებს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ევროკავშირის საუნივერსიტეტო სივრცეებს. აღნიშნული ქსელი მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება ცოდნის გაცვლის, გამოცდილების გაზიარების, კვლევითი უნარების გაძლიერებისა და ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისთვის.

მომზადდა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა



# რის საფუძველზე მიიღებენ სტუდენტები ორი და მაქსიმუმ ოთხი უნივერსიტეტის საერთაშორისოდ აღიარებულ დიპლომს პოლიტიკის მეცნიერებაში?



თამარ ლაღიანი

ღვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობის კიდევ ერთი წარმატებული მაგალითი დაფიქსირდა – თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ევროკავშირის, დასავლეთ ბალკანეთისა და სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შემუშავებულმა ერთობლივმა ინგლისურენოვანმა სამაგისტრო პროგრამამ – „პოლიტიკის მეცნიერებები – ინტეგრაცია და მმართველობა“ – საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

პროგრამამ წარმატებით გაიარა ავსტრიის ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის სააგენტოს (AQ Austria) სრული საერთაშორისო აკრედიტაცია, რაც ნიშნავს მის ოფიციალურ აღიარებას უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR) ფარგლებში.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელება დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ და მასში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ჩართულია ზალცბურგის უნივერსიტეტი (PLUS), სკოპიეს წმინდა კირილე და მეთოდის უნივერსიტეტი (UKIM), ტირანას ევროპული უნივერსიტეტი (UET), ტირანას უნივერსიტეტი (UTIR), სარაევოს უნივერსიტეტი (UNSA), სარაევოს მეცნიერების ტექნოლოგიის სკოლა (SSST), ტრიესტის უნივერსიტეტი (UNITS), სა-

— “ —  
**თსუ-სათვის ამგვარი საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – იგი უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს პასუხობს, როგორცაა ევროპული სტანდარტების დანერგვა, ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტთა მობილობა და კავშირების გაღრმავება რეგიონისა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან.**  
— ” —

ქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), ერევის სახელმწიფო უნივერსიტეტი (YSU), ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (EIU).

როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა აღნიშნავს, ეს საერთაშორისო აღიარება უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობისა და თსუ-ს აქტიური ჩართულობის შედეგია:

„რამდენიმე წლის წინ თსუ-მ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA), ერევისა და ჩრდილო მაკედონიის უნივერსიტეტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის კონკურსში და მოიპოვა გრანტი. სწორედ ამ გრანტის საფუძველზე შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა „პოლი-



ტიკის მეცნიერებები – ინტეგრაცია და მმართველობა“, რომელმაც სრული, უპირობო აკრედიტაცია გაიარა ავსტრიის ხარისხის სააგენტოში (AQ Austria). ეს ნიშნავს იმას, რომ პროგრამას უკვე აქვს საერთაშორისო სტატუსი და საქართველოს მხოლოდ მისი გაფორმება და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა რჩება. ეს არის მართალი უნიკალური შესაძლებლობა – საერთაშორისო აკრედიტაცია პოლიტიკის მეცნიერებებში“, – აღნიშნავს სალომე დუნდუა.

აღიარება თსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება. პროგრამა არა მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო სტანდარტებს პასუხობს, არამედ ქართველ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას – წელიწადში ორჯერ სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტში ისწავლონ. თი-

თო სემესტრი მათ შეუძლიათ გაატარონ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტში, რის შედეგადაც მიიღებენ მინიმუმ ორი და მაქსიმუმ ოთხი უნივერსიტეტის საერთაშორისოდ აღიარებულ დიპლომს პოლიტიკის მეცნიერებაში.

„ამჟამად უკვე გვყავს 6 ქართველი სტუდენტი, რომლებმაც წინასწარ გაიარეს გასაუბრება და სწავლას ზალცბურგის (ავსტრია) უნივერსიტეტებში განაგრძობენ. შემდეგ ეტაპზე ისინი ისევ თსუ-ში დაბრუნდებიან. ეს არის მართალი უნიკალური შესაძლებლობა – პოლიტიკის მეცნიერებებში მსგავსი პროგრამა საქართველოში არ არსებობს. სტუდენტებს ეძლევათ შანსი ისწავლონ ევროპის 13 სხვადასხვა უნივერსიტეტში და მიიღონ მრავალდიპლომიანი განათლება“, – აცხადებს სალომე დუნდუა.

თსუ-სათვის ამგვარი საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – იგი უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს პასუხობს, როგორცაა ევროპული სტანდარტების დანერგვა, ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტთა მობილობა და კავშირების გაღრმავება რეგიონისა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან.

ახალი პროგრამა არა მხოლოდ მომავლის პოლიტოლოგებს ამზადებს, არამედ სრულიად ქართული აკადემიური სივრცე ახალ ეტაპზე აწყობს – ქმნის სივრცეს თანამშრომლობისთვის, ცოდნის საერთაშორისო მიმოცვლისთვის და საქართველოს უნივერსიტეტების უფრო აქტიური ჩართულობისთვის გლობალურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ქსელებში.

## თსუ-ში ნატოს მხარდაჭერით საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების ტრენინგი გაიმართა

ლონისძიება

მაია ბორაძე

თსუ-მ უმასპინძლა ნატოს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო ლონისძიებას – „ტრენინგი, კვლევა და განათლება – კრიტიკული ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოებისთვის“. ლონისძიება მიზნად ისახავდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების გაზიარებას.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ კიბერუსაფრთხოების წამყვანი ექსპერტები 18 ქვეყნიდან – მათ შორის საქართველოდან, აშშ-დან, კანადიდან, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან და ნატოს პარტნიორი სახელმწიფოებიდან. მათ ტრენინგის მონაწილეებისთვის ჩაატარეს ლექციები და პრაქტიკული სამუშაოები კიბერშეტევების პრევენციისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის გაძლიერების თემებზე.

თსუ-ს რექტორის მოადგილის, პროფესორ ერეკლე ასტახიშვილის თქმით, მსგავსი ლონისძიებები არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ გლობალურ დონეზე მნიშვნელოვანია: „მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ კიბერუსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს ამ მიმარ-

თულების განვითარებას და მზად არის, ხელი შეუწყოს როგორც აკადემიური, ასევე ინფრასტრუქტურული კუთხით კიბერუსაფრთხოების პროგრამების დანერგვას“, – აღნიშნა მან.

ტრენინგის მიმდინარეობისას მონაწილეები გაეცნენ კიბერუსაფრთხოების ინოვაციურ გადაწყვეტილებებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს.

ლონისძიების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ისეთი სასწავლო კურსების შემუშავება, რომლებიც უნივერსიტეტებში დაინერგება. ასევე დაგეგმილია რეგიონული ლაბორატორიის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კიბერუსაფრთხოების განვითარებას როგორც საქართველოში, ისე ნატოს პარტნიორ ქვეყნებში. ლონისძიების ფარგლებში ჩამოყალიბდა სამი სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც ერთობლივად იმუშავეს კვლევით პროექტებზე.

პოლონეთის ეროვნული ბირთვული კვლევების ცენტრის დირექტორის მოადგილემ იაცეკ გავესკიმ კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობასა და ტრენინგის მიზნებზე ისაუბრა: „კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ კიბერშეტევებმა, შესაძლოა, ქვეყნის ფუნქციონირების პარალიზება გამოიწვიოს. ამ ტრენინგის შედეგად ჩამოყალიბდება სასწავლო პროგრამა და შეიქმნება ლაბორატორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონში კიბერუსაფრთხოების განვითარებაში“, – განა-



— “ —  
**ლონისძიება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოსა და რეგიონში კიბერუსაფრთხოების მტკიცე და მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებისკენ.**  
— ” —

ცხადა მან.

„ტრენინგი, კვლევა და განათლება – კრიტიკული ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოებისთვის“ გაიმართა NATO-ს Science for Peace and Security Program-ის Advanced Training Course (ATC) ფორმატში და ორგანიზებული იყო პოლონეთის ეროვნული ბირთვული კვლევების ცენტრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საგანმანათლებლო და კვლევითი



ქსელების ასოციაცია GRENA-ს მიერ. „კიბერუსაფრთხოება არის გლობალური გამოწვევა. ჩვენი მიზანია – შეიქმნას რეგიონული ლაბორატორია და სასწავლო კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას“, – აღნიშნა GRENA-ს ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ ქვათაძემ.

დღესდღეობით საქართველოში მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კიბერუსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამა. ამ სფეროში კვლევებისა და სწავლის ხელშეწყობა – მათ შორის, ლაბორატორიებისა და ციფრული პლატფორმების განვითარება – აუცილებელია ინფრასტრუქტურის ეფექტიანი დაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ლონისძიება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოსა და რეგიონში კიბერუსაფრთხოების მტკიცე და მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებისკენ.



# კვლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენის კუთხით

ნიკო ახალაია

საგანტო პროგრამის („საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“) ფარგლებში, საუკეთესო საგანტო განაცხადი წარდგინდა იქნა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის პროფესორების: ირმა ხარშილაძის, პაატა ტურავასა და კობა ყალიჩავას ინიციატივით. კვლევა შეეხებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენას. პროექტი გრძელდებოდა 9 თვის განმავლობაში. მისი ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მთავრად ირმა ხარშილაძე.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსების მიღებით საფუძველი ჩაეყარა ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სამართლის განვითარებას. ოცდახუთწლიანი არსებობის მანძილზე იყო ბევრი მიღწევა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკისა და სამართალწარმოების ანალიზით დასტურდება გარკვეული სამართლებრივი გამოწვევების არსებობა. მათ შორის არის ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსისა და ცნების ზუსტი განსაზღვრა.“

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის ფარგლებში, შევისწავლეთ გერმანული და ფრანგული სამართლის მდგომარეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსის დადგენის მიზნით

“  
**იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის მიმართულების პროფესორები მუშაობენ ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოზე. პროფესორ ირმა ხარშილაძესაც ერგო პატივი – დაემუშავებინა ადმინისტრაციულ წარმოებასა და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები.**  
”

და აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენაზე მოქმედებს ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი ფაქტორები. საბოლოოდ დავადგინეთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (სამოქალაქოსამართლებრივი) ხელშეკრულების გამოყენება არ იწვევს დავას. ის არის საქმიანობის სამართლებრივი ფორმა, რომელიც ორმხრივი ნების გამოვლენის გზით ადგენს შესასრულებლად სავალდებულო ბუნების მქონე სამართლებრივ შედეგს. ადმინისტრაციული ორგანო შედის სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც ნებისმიერი კერძო პირი. მისი ნების ავტონომიის ფარგლებს ქმნის ხელშეკრულების დადების მიზანი (ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელება). ხელშეკრულებაში ადმინისტრაციული ორგანო გვევლინება სამოქალაქოსამართლებრივი უფლებამოვალეობების მატარებლად, რომელზეც ვრცელდება სამოქალაქოსამართლებრივი ბოჭვა (ის ვერ ისარგებლებს მისი



ირმა ხარშილაძე

აღსრულების საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტებით, არამედ ბოლომდე რჩება კერძოსამართლებრივ სივრცეში) – გაზავებული საჯაროსამართლებრივი ბოჭვით (ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება).

მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულების გამოყენების არეალი სრულდება იქ, სადაც სამართლებრივი მოწესრიგების მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის მხარეთა საჯაროსამართლებრივ უფლება-მოვალეობებით აღჭურვა. ვფიქრობთ, რომ ორმხრივი ნების გამოვლენა, რომლის მიზანია მხარეთა საჯაროსამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვა, ვერ იქნება ხელშეკრულება. ასეთი ნების არსებობა უნდა დადასტურდეს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული აჩვენს ორმხრივი ნების გამოვლენის ადმინისტრაციული აქტის საკანონმდებლო აღიარების საჭიროებას.

ვთვლით, რომ ჩვენი კვლევის საკანონმდებლო დონეზე ასახვა ხელს შე-

უწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და განსჯადობის შესახებ დავების აღმოფხვრას“, – აღნიშნავს ირმა ხარშილაძე.

როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული სამართალი შედარებით ახალგაზრდა სამართლის დარგია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას. ამ მიზნით პროფესორ ირმა ხარშილაძისა და სამართლის დოქტორ ნუნუ ოვსიანიკოვას თანაავტორობით მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის გამოცა სახელმძღვანელო – საზღვარგარეთის ადმინისტრაციული სამართალი (თარგმანი). განახლებულ სახელმძღვანელოზე მუშაობა უკვე დასრულდა. მისი გამოცემა ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება.

ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამართლებრივი სივრცის შესაქმნელად 2017 – 2018 წლებში საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა, რომლის ფარგლებში დასაბამი მიეცა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების კონსტიტუციურ რანგში აყვანას. საქართველოს ახალი კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანი განხილვის უფლება.

იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის მიმართულების პროფესორები მუშაობენ ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოზე. პროფესორ ირმა ხარშილაძესაც ერგო პატივი – დაემუშავებინა ადმინისტრაციულ წარმოებასა და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები.

## სამეცნიერო კონფერენცია – „ტექსტი და ინტერპრეტაცია“, რომელიც მიხეილ კვესელავას ხსოვნას მიეძღვნა

თამარ დალიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთ-თურქული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამართა რიგით მესამე სამეცნიერო კონფერენცია – „ტექსტი და ინტერპრეტაცია“, რომელიც მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის, მიხეილ კვესელავას ხსოვნას მიეძღვნა.

ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და პროფესორი მიხეილ კვესელავა (1932–2012) ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო იმ თაობისა, რომელმაც განსაზღვრა თსუ-ს ლიტერატურულ-თეორიული სივრცის განვითარება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ის ავტორია რომანისა „ას ერგასის დღე“, აგრეთვე მრავალთვიანი კვლევის შედეგზე დაფუძნებული ნაშრომებისა ევროპულ და ქართულ ლიტერატურაზე. მიხეილ კვესელავა წლების განმავლობაში მოღვაწეობდა როგორც მასწავლებელი და მკვლევარი და უდიდეს როლს ასრულებდა ახალგაზრდა თაობის სამეცნიერო გზის წარმართვაში.

კონფერენცია გახსნა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა გელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა მიხეილ კვესელავას როლი თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მის რომანზე – „ას ერგასის დღე“ – საუბარს, რომლის ტექსტუალური შრეებიც დღემდე მნიშ-



“  
**ღონისძიება კიდევ ერთხელ იქცა ფორუმად, რომელიც თაობებს, აკადემიურ ტრადიციას და ახალ კვლევით ინიციატივებს ერთმანეთთან აკავშირებს. კონფერენციამ პატივი მიაგო იმ მწერლისა და მკვლევრის ხსოვნას, რომლის შრომაც თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლავ შთამაგონებელია.**  
”

ვნელოვანი კვლევის საგანია. მანანა გელაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ ქართული გერმანიისტიკის ტრადიცია კვლავ აქტიურად გრძელდება, რაც გიორგი ბრეგვაძის მოხსენებაშიც მკაფიოდ აისახა – მისი კვლევის თემას გოეთეს „ფაუსტში“ ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმის რეცეფცია წარმოადგენდა.



პლენარულ სხდომაზე მრავალი საინტერესო მოხსენება იქნა წაკითხული – დაწყებული შექსპირის დრამიდან, რომლის ავტორიც იყო ცნობილი მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე პაატა ჩხეიძე („ჰენრი მეხუთე დრამაში ხელმოცარული ისტორიული გმირი“), დამთავრებული თანამედროვე ლიტერატურაზე კვლევებით. დავით მაზიაშვილმა ისაუბრა „სტოპ-არტის რთულ ამოცანებზე“, ხოლო თამარ გელაშვილის ნაშრომი ეხებოდა თანამედროვე ირლანდიელი დრამატურგის ფრენკ მაკგინისის პიესას „ფაბრიკის გოგონები“ რუსთავის თეატრის სცენაზე“.

სექციებში მუშაობა გამოირჩეოდა თემატური მრავალფეროვნებით. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზიარებინათ კვლევები თარგმნის თეორიაში: ლელა ებრალიძემ მოხსენებაში – „რობერტ ფროსტის ლექსის „The Road Not Taken“ ინტერპრეტაციის პრობლემა და მისი ქართული თარგმანები“ – რობერტ ფროსტის ერთ-ერთი ლექსის ინტერპრეტაციისა და ქართული თარგმანის თავისებურებები წარ-

მოადგინა; ნინო დოლიძემ კი ჯიბრანის „წინასწარმეტყველის“ ინტერპრეტაცია გააანალიზა როგორც ქართულ თარგმანებში, ასევე პოლიგულის ანიმაციაში. ლელა ნიფურია ამუდიტორიას შესთავაზა „ტექსტის ინტერპრეტაცია ბრძოლის მანიფესტში“, ხოლო ნინო ქავთარაძემ განიხილა „ჩვენი დროის რასტინიაკის ტოპონიმიური ოდისეა“.

„აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერები – ქეთი ჯმუხაძე, მარიამ რაზმაძე, თათია სიბაშვილი და ანი ბაიდოშვილი. გამონაკლისის სახით, წარმატებულ მაგისტრანტებს: რუსუდან ჯანანაშვილსა და ლალიკო გურგენაშვილს საშუალება მიეცათ წარმოედგინათ მოხსენებები, რომლებიც ირლანდიურ ლიტერატურას შეეხებოდა.“

კონფერენცია მნიშვნელოვანი პლატფორმა აღმოჩნდა როგორც გამოცდილ მკვლევართათვის, ისე ახალგაზრდა მეცნიერებისათვის – მათ შესაძლებლობა მიეცათ გაეზიარებინათ საკუთარი ნაშრომები და დაედასტურებინათ, რომ მიხეილ კვესელავას მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებს ახალი თაობა“, – განაცხადა პროფესორმა მანანა გელაშვილმა.

ღონისძიება კიდევ ერთხელ იქცა ფორუმად, რომელიც თაობებს, აკადემიურ ტრადიციას და ახალ კვლევით ინიციატივებს ერთმანეთთან აკავშირებს. კონფერენციამ პატივი მიაგო იმ მწერლისა და მკვლევრის ხსოვნას, რომლის შრომაც თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლავ შთამაგონებელია.



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



**ვის შეუძლია სარგებლობა ევროპული ახალგაზრდული ბარათით?**

შემოდგომიდან საქართველოში ოფიციალურად ამოქმედდება ევროპული ახალგაზრდული ბარათი

6 83.

**მარიამ შენგელია – სტუდენტური ენთუზიაზმისა და პროფესიული მიზანდასახულობის მაგალითი თსუ-ში**

მარიამი პოლიტიკის მეცნიერებას სიამოვნებით ეუფლება

8 83.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და თავის გამოცდილებას გვაცნობს

ელენე თუზბაიამ ერთი სემესტრი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გაატარა

11 83.





# სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – პოლიტიკა, საზოგადოება, კულტურა“

მაია ტორაძე

15 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: პოლიტიკა, საზოგადოება, კულტურა“.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების იდეა თავდაპირველად დაიბადა, როგორც ინდივიდუალური ინიციატივა, რომლის მიზანი იყო ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემდა აქტიურად ჩართულიყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპოქის – 1918-1921 წლების – კვლევაში.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების იდეა თავდაპირველად დაიბადა, როგორც ინდივიდუალური ინიციატივა, რომლის მიზანი იყო ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემდა აქტიურად ჩართულიყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპოქის – 1918-1921 წლების – კვლევაში.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების იდეა ჯერ კიდევ სტუდენტური გაერთიანება „სხივის“ ჩამოყალიბებამდე გაიჩინა. ერთი შეხედვით რთული იდენტიფიცირებას განიცდიდა დიდი როლი ითვალისწინებდა ფაკულტეტის დეკანმა სალომე დუნდუაძემ, რომელმაც თავიდანვე არ დაიშურა ენერჯია და მოგვცა რჩევა, თუ როგორ შეგვეძლო კონფერენციის ორგანიზება. იდენტიფიცირებას განაგრძობდა შემდეგ „სხივის“ შექმნასა და პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რომელმაც გვიმასპინძლა კიდევ, როგორც ახლადშექმნილ გაერთიანებას, რამაც კიდევ მეტი სტიმული მოგვცა. ფინანსური საკითხები, დეტალურად განვიხილეთ გეგმა თუ სხვა წერილობრივი, ალბათ, ვერ იქნებოდა სრულყოფილი ელენე გეგაშვილის დახმარების გარეშე, რომელიც პროექტის დაწყებიდან დასრულებამდე თანადგომით გვანებებოდა. საბოლოოდ, უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა- პოლიტიკა, საზოგადოება, კულტურა“ – აკადემიკოს ნიკოლოზ ჯავახიშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით წარმატებით ჩატარდა, – გვითხრა იდენტიფიცირება დათა გერანტიამ.

კონფერენცია გაიხსნა თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშის მისასალმებელი სიტყვით. მან განსაკუთრებული მნიშვნე-



ლობა მიანიჭა პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული კვლევების წახალისებას და მადლობა გადაუხადა სტუდენტურ გაერთიანება „სხივს“ აღნიშნული ინიციატივის განხორციელებისთვის. მისი თქმით, მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ეროვნული მეხსიერების გაძლიერებისა და თაობათაშორის დიალოგის შენარჩუნებისათვის აკადემიურ სივრცეში.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა აკადემიური პერსონალის მხრიდან მნიშვნელოვანია: „კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, შედიოდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების პროფესორები, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ზაალ გოგენია, თინათინ მაჭარაშვილი, ირმა ჩხეიძე, მარიამ მაჭარაშვილი, მაია კოტრიკაძე და სხვები. სამეცნიერო კომიტეტმა 80-მდე წარმოდგენილი აბსტრაქტიდან შეარჩია 15 მოხსენება, რომლებიც გამოირჩეოდნენ როგორც აკადემიური ხარისხით, ასევე თემატური ორიგინალობით. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თემები, რომლებშიც განხილული იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის აქტუალური საკითხები: სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, გენდერული თანასწორობა, მედიის როლი, კულტურული იდენტობის ფორმირება, უნივერსიტეტის განვითარება და საერთაშორისო ურთიერთობები.

ამ მოხსენებებიდან რამდენიმეს მეც ვხელმძღვანელობდი, – აღნიშნა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტების ნაშრომები შეეხებოდა ისეთ თემებს, რომლებიც დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. კონფერენციამ აჩვენა სტუდენტების მზობა კვლევისადმი პასუხისმგებლობით მიდგომის, არგუმენტირებული ანალიზის წარმოჩენისა და ქვეყნის ისტორიულ მეხსიერებაზე ზრუნვის თვალსაზრისით.

ღონისძიების დასრულებისას ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. კონფერენციის წარმატებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სტუდენტური სამეცნიერო აქტივობა არა მხოლოდ საგანმანათლებლო გამოცდილებაა, არამედ კულტურულ-პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილიც.

\*\*\*

კონფერენციის მონაწილეები იყვნენ: საბა ქართველიშვილი, დიმიტრი ხალათაშვილი („საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სეკულარიზმის პოლიტიკა და მისი პოლიტიკური მიზანშეწონილობა“ ხელმძღვანელი: თსუ-ს მონვეული ლექტორი ვლადიმერ გრძელიშვილი); იაკობ ორმოცაძე („საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობები გერმანიის იმპერიასთან და ამის ასახვა სდრ-ის საერთაშორისო პრესტიჟზე (1918 წ.)“ ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი); ვერიკო ჩილაჩავა („ქალთა პოლიტიკურ-სოციალური აქტიურობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921 წლები)“ ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნიკოლოზ ჯავახიშვილი); მარიამ სხულუხია („საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამოწვევები“, ხელმძღვანელი: თსუ-ს მონვეული ლექტორი ირმა ჩხეიძე); დემეტრე ტეტელაშვილი, რატი გობეჯიშვილი („დამოუკიდებლობის შენარჩუნების წარუმატებელი მცდელობა: საშინაო და საგარეო ფაქტორები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობაში“, ხელმძღვანელი: თსუ-ს მონვეული ლექტორი ნათია ზედგინიძე); ელენე ქავიზინაძე, თამარ ატაშვილი („თსუ-ის დაარსება და განათლების კულტურული როლი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“ ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ქართველიშვილი); ნათია შუკაკიძე, ლიკა შუბითიძე („საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ზრუნვა თბილისის უნივერსიტეტზე (1918-1921 წწ.) ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი); ანა ქოქაშვილი, ნინო პარფენოვი („საპორტული საზოგადოება „შევარდენი“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში“; ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე); ნინო სესიტაშვილი, მარიამ კაპანაძე („სოციალური სახელმწიფოს იდეა და მისი ინსტიტუციონალიზაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“ ხელმძღვანელი: მონვეული ლექტორი ნინო ქაშაკაშვილი); მარიამ მეტრეველი („ადამიანის უფლებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“ ხელმძღვანელი: მონვეული ლექტორი ნინო ქაშაკაშვილი); გელა ზარქუა („26 მაისი – თავისუფლების სიმბოლო (1918-1921 წლების პრესის მიხედვით)“, ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა ტალახაძე); ნინო აფხაძე, თამთა ნაკუდაძე („სახტრა, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმა ჟურნალ „ემშაკის მათრახში“ (1919 და 1921 წლის მასალათა მიხედვით)“, ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარიამ ნერეთელი); მარიამ ვერულაშვილი, ლამა აბშილავა („დემოკრატიული იდეების გამტარი მედია 1918-1921 წლებში“; ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თინათინ მაჭარაშვილი); მარიამ ბაღდუაშვილი, ელენე ჯოხაძე („კატო მიქელაძე – ჟურნალისტი და რედაქტორი – ქალთა უფლებების ასახვა კატო მიქელაძის პუბლიცისტიკაში (1918-1921 წლების პრესის მიხედვით)“, ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა ტალახაძე); მარიამ ტყემალაძე, ქეთა გველიშვილი („ქალთა ემანსიპაციის საკითხი 1918-1921 წლების ქართულ პრესაში“; ხელმძღვანელი: პროფესორი მანანა შამილიშვილი).

## მედიცინის ფაკულტეტმა სასწავლო წელი ორი მნიშვნელოვანი კონფერენციით დაასრულა

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტმა სასწავლო წელი ორი მნიშვნელოვანი კონფერენციით დაასრულა. 28 ივნისს პირველი სტუდენტური სტომატოლოგიური კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით – „თანამედროვე სტომატოლოგიის აქტუალური საკითხები“. 5 ივლისს კი, დეკანატის ორგანიზებით, მედიცინის ფაკულტეტის ყველა მიმართულების სტუდენტებისთვის მოენყო კონფერენცია.

28 ივნისს ჩატარებული ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი თსუ-ს ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი მანანა კალანდაძე იყო. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ჩატარების იდეით პროფესორს თავად სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა მიმართეს.

„ძალიან მრავალსიმომცველი იყო ის ერთი კვირა მედიცინის ფაკულტეტისათვის და განსაკუთრებით სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის. თავად სტუდენტების იდეითა და თხოვნით კონფერენციის ორგანიზებაში პროფესორი მანანა კალანდაძე ჩაერთო. მან ყველა კათედრის გამგეს გვთხოვა, რომ ხელმძღვანელობა გაგვეჩინა ჩვენი სტუდენტებისთვის, რათა მოხსენებები ხარისხიანად მოეზადებინათ. ხელშეწყობა და თანადგომა გვქონდა მედიცინის ფაკულტეტის დეკანატიდან და თვითონ დეკანისგან, ქალბატონი მაია ბინკინაშვილისგან, ასევე სტუდენტური თვითმმართველობისგან“, – აღნიშნა თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორმა მამუკა მარგველაშვილმა ჩვენთან საუბარში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ თსუ-ს სტომატოლოგიის როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კურსებიდან. ფართო დამსწრე აუდიტორიამ 12 მოხსენება მოისმინა სტომატოლოგიის სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესახებ. ღონისძიების ბოლოს მოხსენებლებს „აზადენტის“ ხელმძღვა-



ნელ, ქალბატონ თამუნა ნინიაშვილისგან საჩუქრები გადაეცათ, შემდეგ კი კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღეს.

„მოხსენებები ყველა იმ აქტუალურ საკითხს ეხებოდა, რომელში გარკვევაც სტუდენტებს თავიანთი ცოდნითა და ინფორმაციის მოძიებით შეეძლოთ. მთავარი მიზანი იყო, რომ თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით და სანდო, სამეცნიერო წყაროების საფუძველზე მათ უნდა გადაეცათ ცოდნა კვლევებისთვის.

იყო დისკუსიები, მსჯელობა, განხილვა – ყურადღებით უსმენდნენ ერთმანეთს და აფასებდნენ. მიზანია, რომ ამ შინაარსიან ღონისძიებას 100-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო“, – აცხადებს პროფესორი მამუკა მარგველაშვილი.

5 ივლისს ფაკულტეტზე გაიმართა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონფერენცია, რომელსაც თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანატმა გაუწია ორგანიზება, კერძოდ, დეკანის მოადგილემ, პროფესორმა თამუნა რუხაძემ. აქ უკვე მთელი მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების 20-მა სტუდენტმა წარადგინა მოხსენებები. ღონისძიება პარალელურ რეჟიმში ორ სექციად წარიმართა.

„ეს კონფერენციები სტუდენტებისგან წამოსული მუხტის შედეგია. ჩვენი მიზანია, რომ ეს ტრადიცია გაგრძელდეს. მომავალ წელს უკვე სტუდენტებისთვის სტუდენტური საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას ვგეგმავთ“, – ამბობს პროფესორი მამუკა მარგველაშვილი.

# სინოლოგიის მიმართულების 6 სტუდენტი სექტემბრიდან სწავლას ჩინეთის წამყვან უნივერსიტეტში გააგრძელებს

შურთხია ბაროშვილი

ოსუს სინოლოგიის მიმართულების 6 სტუდენტი, სათანადო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად, სექტემბრიდან სწავლას გააგრძელებს ჩინეთის წამყვან უნივერსიტეტში მომწვევი მხარის სრული დაფინანსებით: ნინო ხუბულავა – (ჭეძიანგის უნივერსიტეტი), ირინე ახოზაძე – (ჭეძიანგის საერთაშორისო სწავლების უნივერსიტეტი), მარიამ ხუციშვილი, მარიამ ლურსმანაშვილი – (ჭენგჭოუს უნივერსიტეტი), ლალი ღვინიაშვილი, აკაკი ბალანჩივაძე – (ნანკინის უნივერსიტეტი). გაზეთის რედაქცია წარმატებებს უსურვებს სტუდენტებს და გთავაზობთ ერთ-ერთი სტუდენტის, ნინო ხუბულავას მიერ განვლილ გზას წარმატებისაკენ.



„შორეული აღმოსავლეთის რელიგიები“. „საბოლოოდ თავად ჩინურმა ენამ, მისმა მდიდარმა კულტურამ და უძველესმა ისტორიამ იმდენად დამაინტერესა, რომ გადავწყვიტე – ჩემი კარიერა სწორედ სინოლოგიისთვის და ამ დარგის კვლევებისთვის დამეკავშირებინა. ორ სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლა არ ყოფილა მარტივი. გარკვეული პროცედურები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია, მაგრამ ამ პროცესში მიმართულების ხელმძღვანელი მუდამ მეხმარებოდა“, – ამბობს ნინო.

მისი თქმით, ენის შესწავლის კუთხით ფასდაუდებელია თავისი პედაგოგების წვლილი. „თავდაპირველად ჩინურ ენას ანა გოგუაძე და ლი ძინფენგი მასწავლიდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩინურის სწავლის პროცესში ქალბატონი ანა მუდამ იყო ჩემი პირველი მოტივატორი და უდიდეს სტიმულს მაძლევდა. უნივერსიტეტის ბოლო წელს ჩინურს ქალბატონი თეონა გელაშვილი მასწავლიდა. ამიტომ, პირველ რიგში, ჩინეთის მიმართ

ინტერესმა და იმ გარემომ, რომელიც მიმართულებაზე დამხვდა, საბოლოოდ გადამწყვეტინა – მომავალში მეც შემეტანა წვლილი დარგის განვითარებაში“.

\*\*\*

ნინო ხუბულავა სექტემბრიდან სწავლას ჭეძიანგის უნივერსიტეტში გააგრძელებს სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად. ირინე ახოზაძე წარმატებით მოიპოვა უნივერსიტეტის დაფინანსება და სწავლას ჭეძიანგის საერთაშორისო სწავლების უნივერსიტეტში გააგრძელებს. მარიამ ხუციშვილი და მარიამ ლურსმანაშვილი ხენანის პროვინციის სტიპენდიით სწავლას გააგრძელებენ ჭენგჭოუს უნივერსიტეტში. ჩინეთის სახელმწიფო სტიპენდია მოიპოვეს ჩვენი უნივერსიტეტის კიდევ ორმა სტუდენტმა – აკაკი ბალანჩივაძემ და ლალი ღვინიაშვილმა, რომლებიც ნანკინის უნივერსიტეტში ისწავლიან. სუთივე სტუდენტმა ჩინური ენა სინოლოგიის მიმართულებაზე შეისწავლა.

ჩინეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოსახვედრად სტუდენტებმა რთული გზა გაიარეს. „კონკურსში გამარჯვება მარტივი ნამდვილად არ ყოფილა. კონკურენცია საკმაოდ მაღალი იყო და შანსები – მცირე. პირველი ეტაპი საჭირო დოკუმენტების მომზადებას მოიცავდა. მრავალრიცხოვან საბუთთა შორის იყო რეკომენდაციის წერილებიც, რისთვისაც მაღლობა მინდა გადავუხადო ჩვენი მიმართულების ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა გელაშვილსა და უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ჯაბა სამუშიას. კონკურსში გამარჯვების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ჩინურ ენაზე საელჩოსთან გასაუბრება იყო. ამიტომ, ყველაზე დიდი დაბრკოლება, ალბათ, მეტყველების დახვეწა გახლდათ. ჩინუ-

რის სწავლა ისედაც რთულია, მაგრამ ჩინურად გამართულად მეტყველება ორმაგ სირთულეს წარმოადგენს. თუმცა, ჩინელი ლექტორი ლი ძინფენგი ძალიან დამეხმარა.

კონკურსის შემდგომი ეტაპი უკვე კანდიდატის დოკუმენტაციას ეხება. ამისთვის წლების მანძილზე ვემზადებო. ქალბატონი ნანა გელაშვილისა და ანი გოგუაძის ხელმძღვანელობით, კვლევები წარვადგინე 10-მდე სამეცნიერო კონფერენციაზე. მონაწილეობა მივიღე ჩვენი მიმართულების მიერ გამართულ სხვადასხვა აქტივობაში. ამ აქტივობისა და კვლევის პარალელურად, ვახერხებდი მაღალი აკადემიური მოსწრების შენარჩუნებას, არაერთხელ მოვიპოვე სახელმწიფო სტიპენდია, რამაც შედეგებზე გავლენა იქონია“, – იხსენებს ნინო.

ჩინეთში სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში დაეუფლებიან ჩინურ ენას. ნინო ამბობს, რომ მათი მოლოდინები ძალიან დიდია, რადგან ეს უნივერსიტეტი სწავლების მაღალი ხარისხითა და საერთაშორისო რეპუტაციით გამოირჩევიან.

„ამასთანავე, უდიდესი მოლოდინები მაქვს ჩემი თავისგანაც. ვგრძნობ პასუხისმგებლობას, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში მაქსიმალურად კულტურულად და აკადემიურად წარვადგინო ჩემი უნივერსიტეტი და ქვეყანა. სამომავლოდ, ჩემი მიზანია – სწავლა გაავაგრძელო ჯერ მაგისტრატურაზე, შემდეგ კი დოქტორანტიურაზე. ვაპირებ – ჩემი მომავალი კვლევებსა და აკადემიურ საქმიანობას დავუკავშირო. ვისურვებდი, მომავალში ჩემი მიღებული ცოდნა და გამოცდილება მშობლიურ უნივერსიტეტს მოვახმარო და აქტიურად შევეწყო ხელი სინოლოგიის დარგის განვითარებას“, – ამბობს ნინო ხუბულავა.

## მარიამ შენგელია – სტუდენტური ენთუზიაზმისა და პროფესიული მიზანდასახულობის მაგალითი თსუ-ში

მანია ბორაძე

მარიამ შენგელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მეორე კურსზე სწავლობს. იგი არა მხოლოდ წარმატებული სტუდენტი, არამედ აქტიური ახალგაზრდა ლიდერი და თანამონაწილეა იმ პროცესებისა, რომლებიც უნივერსიტეტს თანამედროვე საუნივერსიტეტო სივრცედ აქცევს. მარიამი პოლიტიკის მეცნიერებას სიამოვნებით ეუფლება და მისი მომავალი უკავშირდება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობასაც.

მარიამის არჩევანი – სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიული მეხსიერებით, ოჯახის რჩევითა და უნივერსიტეტის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების პატივისცემით იყო განპირობებული. როგორც თავად აღნიშნავს: „უნივერსიტეტში თითოეული კედელი, დერეფანი, აუდიტორია იტევს წარსულის მუქს – აქ შენს თავს ისტორიის ნაწილად გრძნობ და ეს არის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა, რასთანაც თსუ ასოცირდება. ამავდროს, უნდა ვთქვა ჩემს ფაკულტეტზეც: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ერთ-ერთი გამორჩეული, ძლიერი და მოწინავეა თავისი პროფესიონალი აკადემიური პერსონალით, აქტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითა და უამრავი გაცვლითი პროგრამით, რომელმაც საბოლოოდ არჩევანი

სწორედ თსუ-ზე გამაკეთებინა“. მარიამის პროფესიული ხედვა და პასუხისმგებლობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გამოიხატება არა მხოლოდ სწავლისადმი სიღრმისეული მიდგომებით, არამედ მისი პერსონალური ჩართულობითაც სხვადასხვა სტუდენტურ თსუ საერთაშორისო პროექტში. 2023 წლიდან იგი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ (YEA) აქტიური წევრია და 2025 წლის ევროპის დღეზე ნიდერლანდების საელჩოს წარმომადგენლა.

ის არაერთი ახალგაზრდული პროექტის ორგანიზატორია – სულ ცოტა ხნის წინ მონაწილეობდა კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში „KAS Academy of Political Education 2025“, რომელიც აქცენტირებული იყო ისეთ თემებზე, როგორცაა დემოკრატიული ღირებულებები, პოლიტიკური ლიდერობა და სამოქალაქო ჩართულობა. მარიამმა და მისმა გუნდმა 15 000-ლარიანი გრანტი მოიპოვა ამ პროექტის განსახორციელებლად და უკვე დაიწყო სხვადასხვა აქტივობაზე მუშაობა.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, მარიამის ინტერესები საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კონკრეტული მექანიზმებისკენ იხრება. ამბობს, რომ განსაკუთრებით აინტერესებს – როგორ ხდება პოლიტიკის ფორმულირება და იმპლემენტაცია სოციალურ სფეროში, მათ შორის განათლების ან ჯანდაცვის მიმართულებით: „მიზნად ვისახავ, საბაკალავრო ნაშრომში გამოვიკვლიო კონკრეტული საჯარო პროგრამის ეფექტი-

ანობა, მისი გავლენა ბენეფიციარებზე და მმართველობითი პროცესის გამჭვირვალობა, რათა ნაშრომს ჰქონდეს არა მხოლოდ თეორიული, არამედ გამოყენებითი ღირებულება“, – გვითხრა მან და აქვე გავიძინა, რომ აპირებს სწავლა საზღვარგარეთ გააგრძელოს, თუმცა საბოლოო მიზანი საქართველოში დაბრუნება და პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანაა. „ვფიქრობ, რასაც დღეს ვსწავლობთ, რასაც ჩვენი ლექტორები გვასწავლიან, ის არ უნდა დარჩეს მხოლოდ ნაშრომებში ჩაკეტილი – ის უნდა ვაქციოთ მოქმედ ძალად ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ“, – ამბობს ის.

სტუდენტურ ცხოვრებაზე საუბრისას მარიამი თსუ-ს „მეორე სახლს“ უწოდებს: „აქ უფრო მეტ დროს ვატარებ, ვიდრე სახლში. ეს გარემო გამორჩეულია, გაძლევს შესაძლებლობას – განვითარდე, გაიზარდო, მიიღო მრავალმხრივი გამოცდილება, შეხვდე განსხვავებულ ადამიანებს და იყო მუდმივი ინტელექტუალური ძიების პროცესში“, – ამბობს იგი და ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი არის არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ შანსი – იყოს აქტიური მოქალაქე, ჩამოაყალიბოს პროფესიული იდენტობა და უკვე სწავლის პროცესში მოემზადოს ქვეყნის სამსახურისთვის: „უნივერსიტეტი – ეს არის სივრცე, სადაც თეორიული ცოდნა უნდა იქცეს პრაქტიკულ ძალად და სწორედ ამ კავშირის დამყარებას ვაპირებ ჩემს მომავალ საქმიანობაში“, – გვითხრა მან და აქვე აღნიშნა, რომ პრობლემებსაც ხე-



დავს – განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ნაწილში და სასურველად მიიჩნევს ეფექტურ, მოქნილ მენეჯმენტს, რაც სტუდენტური ცხოვრების გამართვებასა და გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ის უკვე აქტიურად მუშაობს რამდენიმე ინიციატივაზე, რომელთაგან ზოგი უნივერსიტეტის მასშტაბითაც განხორციელდება. ერთ-ერთი მიზანი სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობაა: „მინდა, გავააქტიურო ისეთი პროექტები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს უნარების განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის შესაძლებლობას. თსუ-ს სახელის კიდევ უფრო გამყარება სწორედ ახალგაზრდული ენთუზიაზმით და რეალური შინაარსითაა შესაძლებელი“.

მარიამ შენგელიას მაგალითი გვიჩვენებს, რომ ის არის ღირებულებებზე, პასუხისმგებლობაზე, პროგრესზე ორიენტირებული ახალგაზრდობის სახე და თსუ-ს ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი.

# გამორჩეული კვლევა რეგიონში მედიამანიპულაციების ეკოლუციაზე

ენიო ხაუალია

2025 წლის 27 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტმა ლიანა მარქარიანმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მანიპულაციური მექანიზმების ტრანსფორმაცია საბჭოთა პრესიდან ციფრულ მედიამდე: ტიპოლოგია და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი (საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე)“. ნაშრომმა უმაღლესი აკადემიური შეფასება – Summa Cum Laude დაიმსახურა.

**მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის მაია ტორაძის თქმით, ლიანა მარქარიანი გამოიჩინა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპეტენციით: „ის არის ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა მკვლევარი, რომელიც წარმატებით უთავსებს კვლევით და მედიაპრაქტიკულ საქმიანობას“**



კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა ტიპის მანიპულატორებს იყენებდნენ საბჭოთა პრესაში, როგორ მოდიფიცირდა მათი მექანიზმები საქართველოსა და სომხეთის მედიაში, რა გავლენა იქონია სოციალურმა მედიამ მანიპულაციური მექანიზმების ტრანსფორმაციაზე და რატომ მიმართავენ დღეს მედიამანიპულაციას. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კვლევა შერჩეული ქვეყნების მედიის მაგალითებზე გვჩვენებს პოსტსაბჭოური და თანამედროვე მანიპულაციური ელემენტების ძირითად მსგავსებებს და განსხვავებებს, მათ ტიპოლოგიას და, ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საშუალებით, ცხადყოფს ტექსტუალური და შინაარსობრივი მანიპულატორების გავლენებს დემოკრატიზაციაზე.

რიული მექანიზმები, რომლებმაც საბჭოთა პრესიდან დღევანდელ ციფრულ მედიამდე გადმოინაცვლა. საერთაშორისო რეცენზენტმა და მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორმა სტივენ ჰატჩინგსმა რეცენზიაში აღნიშნა: „ჩემი ცოდნის საფუძველზე, შემიძლია დავადასტურო, რომ ეს არის პოლიტიკური პროპაგანდის პირველი შედარებითი ანალიზი სომხეთისა და საქართველოს მასშტაბით და, ასევე, პირველი მცდელობა – დაკავშირდეს ეს ანალიზი საბჭოთა პერიოდის შესაბამის პრეცედენტებთან. შედარების ეს ორმაგი ღერძი (გეოპოლიტიკური და ისტორიული) უნიკალური და ღირებულია და, საერთო ჯამში, ეფექტიანად არის გამოყენებული. დარწმუნებული ვარ, რომ კვლევაში არსებული აკადემიური ცოდნის სინთეზი, განსაკუთრებით მისი საბჭოთა პერიოდის კომპონენტი, მნიშვნელოვანი რესურსი გახდება მომავალი მკვლევრებისთვის ამ რეგიონში. ამასთანავე, მანიპულაციების მატრიცაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვლევ რესურსს სხვა მეცნიერებისათვის და იგი კარგად არის სტრუქტურირებული და წარმოდგენილი“, – წერს იგი.

ოცნობაში და მედიამანიპულაციების მატრიცა – ინოვაციური ანალიტიკური მოდელი, რომელიც კვლევის პროცესში მედიის მანიპულაციური სტრატეგიების ვიზუალურ წარმოსახვას და შინაარსობრივ შეფასებას აადვილებს.

„დამსახურებული მადლობა უნდა გადავუხადო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და განსაკუთრებით, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს თავისი ჟურნალისტიკის მიმართულებით! ეს იყო 11 წლის წინ გაკეთებული არჩევანი, რომელიც არცერთი წამით არ მინანია! მაშინაც მჯეროდა და დღესაც მჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში საუკეთესო უნივერსიტეტი. ეს არის ადგილი, რომელსაც, ზუსტად ათი წელია, სახლად მივიჩნევ. თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ოჯახის წევრითაა. აქ, ჩემი ლექტორებისგან და, განსაკუთრებით, ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელისგან – ქალბატონ მაია ტორაძისგან – ვისწავლე ყველაფერი ის, რამაც საბოლოო ჯამში ამ ხარისხამდე მომიყვანა“, – აღნიშნა ლიანა მარქარიანი ჩვენთან საუბარში.

„მულტიმედია-ციფრული მიდგომის გამოყენებით, კვლევა ემსახურება უფრო ფართო დისკურსს – ციფრულ ეპოქაში ინფორმაციის უსაფრთხოებისა და მთლიანობის დაცვას, ასევე, მიზანს – განავითაროს მეტად ჯანსაღი და თავისუფალი მედია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, ქართულ-სომხურ ჭრილში, საბჭოთა პრესიდან დღემდე არსებული მედიამანიპულაციების გამოყოფაზე და განალიზებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ამ ორი ერის მეტად დაახლოებას და შეამციროს მედიის (ამ შემთხვევაში, მესამე ძალის ხელით განხორციელებული) ნეგატიური გავლენა კონფლიქტის ან შუღლის გაღვივებაში“, – აღნიშნავს ლიანა მარქარიანი.

ლიანა მარქარიანმა კვლევის ფარგლებში შექმნა ორი მნიშვნელოვანი პრაქტიკული ინსტრუმენტი: ტექსტის მანიპულაციური მექანიზმების ტაქსონომია – ქართულ ენაზე შედგენილი კლასიფიკაცია, რომელიც აუდიტორიას ეხმარება მედიაში მანიპულაციური და პროპაგანდისტული ტექნიკის ამ-

ოცნობაში და მედიამანიპულაციების მატრიცა – ინოვაციური ანალიტიკური მოდელი, რომელიც კვლევის პროცესში მედიის მანიპულაციური სტრატეგიების ვიზუალურ წარმოსახვას და შინაარსობრივ შეფასებას აადვილებს.

მისი კვლევითი გამოცდილება მოიცავს მოხსენებებს ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო პლატფორმებზე, როგორცაა სტამბოლის უნივერსიტეტი, „ჰორაიზონ 2025“-ის ფარგლებში ბრიუსელში გამართული ვორქშოპი, საერთაშორისო კონფერენციები პორტუგალიასა და ინდოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩატარებული სამეცნიერო სიმპოზიუმები. კვლევის ნაწილობრივი შედეგები უკვე გამოქვეყნებულია WoS და Scopus-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში.

დოქტორანტმა კვლევაში წარმოსახვითი სიზუსტითა და სიღრმისეულობით გაშალა მედიამანიპულაციების ისტო-

## ახალი კრებული – ქართული თურქოლოგიური კვლევები II

შაროთხია ბაროშვილი

„ქართული თურქოლოგიური კვლევები II“ – ამ სახელწოდებით გამოიცა აკადემიური შრომების სამეცნიერო კრებული, რომლის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

**კრებულის რედაქტორები არიან თსუ-ს თურქული ენის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი ელისაბედ ბუალავა და თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს პედაგოგი, ასოცირებული პროფესორი სალიპ უჩაქი**



ბის სამინისტროს პედაგოგი, ასოცირებული პროფესორი სალიპ უჩაქი. ელისაბედ ბუალავას ინფორმაციით, კრებულში თავმოყრილია ცამეტი ქართველი და უცხოელი ავტორის ნაშრომი. აღიშნულ კრებულში, პირველი კრებულისაგან განსხვავებით, შევიდა სამეცნიერო თარგმანები ისეთი ღვაწლმოსილი თურქოლოგებისა, როგორც ბიკ არიან ლია ჩლაიძე, ნოდარ ჯანაშია, ირინე გოცრიძე. „ნიშანდობლივია, რომ თარგმანები შესრულებულია თსუ-ს თურქოლოგიის კათედრის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ, რაც ერთდროულად ემსახურება ორ მიზანს: სტუდენტები გაინაფონ სამეცნიერო თარგმანებში და უფრო მათად ვაზიაროთ იმ ჯადოსნურ სამყაროს, რასაც მეცნიერება ჰქვია“, – ამბობს ელისაბედ ბუალავა.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, სამეცნიერო კრებულის გამოცემის მიზანი, ერთი მხრივ, თანამედროვე თურქოლოგიური კვლევების სხვადასხვა საკითხის სამეცნიერო დონეზე განხილვა და ქართული თურქოლოგიის პოპულარიზაცია იყო, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი მკითხველისათვის დღემდე უცნობი თურქი ავტორებისა და ნაწარმოებების გაცნობას ემსახურებოდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კრებული საშუალებას აძლევს დარგის ახალგაზრდა

მკვლევრებს – წარმოაჩინონ თავიანთი სამეცნიერო პოტენციალი და ჩაერთონ სამეცნიერო საქმიანობაში. კრებულის რედაქტორები არიან თსუ-ს თურქული ენის მიმართულების

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი ელისაბედ ბუალავა და თურქეთის რესპუბლიკის განათლე-



# ვიგოს უნივერსიტეტში გატარებული ერთი სემესტრი

ენო რაჰვანიანი

მსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ლუკა ძაძაძიამ 2024 წლის შემოდგომის სემესტრი ესპანეთში, ვიგოს უნივერსიტეტში გაატარა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

„ესპანეთის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი ჩემთვის გამორჩეულად შთაბეჭდილებით იყო და ჩემი განვითარების საწინდარი აღმოჩნდა. პროფესორებთან შინაარსიანი და თავისუფალი ურთიერთობისა ხშირად ვგრძნობდი თავს არა მხოლოდ სტუდენტად, არამედ დისკუსიის აქტიურ მონაწილედ“, – გვიამბობს ლუკა.

ლექციების მიღმა იგი აქტიურად იყო ჩართული დამატებით აქტივობებში. განსაკუთრებით დაამახსოვრდა იმიტირებული სასამართლო პროცესი, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორების ორგანიზებით ჩატარდა.

სემესტრის განმავლობაში ლუკამ საგადასახადო, საკონსტიტუციო და ევროკავშირის სამართლის და, ასევე, ესპანური ენის კურსები გაიარა. ამბობს, რომ საგნების შერჩევისას ორი კრიტერიუმით შეარჩია: „პირველ ყოვლისა, მინდოდა, შერჩეული კურსები დამხმარებოდა საქართველოს სამართლებრივი სივრცის უკეთესად გაგებაში ევროკავშირთან მიმართებით, განსაკუთრებით იმ ასპექტებში, რომლებიც ევროინტეგრაციის სამართლებრივ საფუძვლებს ეხება. მეორე მხრივ, ვცდილობდი ისეთი საგნების არჩევას, რომლებიც ჩემს ძირითად სასწავლო პროგრამასთან მაქსიმალურად თანხვედრაში იქნებოდა, რათა საქართველოში დაბრუნებისას აკადემიური აღიარება გამარტივებულიყო“.

ლუკას ყველაზე გამორჩეულ საგნად ევროკავშირის სამართალი მიაჩნია: „ამ



კურსმა არა მხოლოდ საფუძვლიანი წარმოდგენა მომცა ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურისა და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, არამედ დამეხმარა უკეთესად გამეაზრებინა საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები“.

ლუკა თსუ-სა და ვიგოს უნივერსიტეტს შორის არსებულ განსხვავებებსაც მიმოიხილავს: „თსუ-ში სწავლება უფრო თეორიულ ცოდნაზეა ორიენტირებული, რაც ძლიერი საფუძველია სამართლის სიღრმისეულად გასაგებად. მეორე მხრივ, ესპანურ უნივერსიტეტში, კერძოდ, იმ ფაკულტეტზე, სადაც მეც ვსწავლობდი, სწავლა ბევრად უფრო პრაქტიკულ ელემენტებზე იყო დაფუძნებული. ლექციების დიდი ნაწილი დისკუსიურ ფორმატში მიმდინარეობდა, ხშირად ვიყენებდით რეალურ საქ-

ლუკას ყველაზე გამორჩეულ საგნად ევროკავშირის სამართალი მიაჩნია: „ამ კურსმა არა მხოლოდ საფუძვლიანი წარმოდგენა მომცა ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურისა და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, არამედ დამეხმარა უკეთესად გამეაზრებინა საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები“

მეებს, რომლებსაც მოსამართლეთა გადაწყვეტილების საფუძველზე ვაანალიზებდით“. რაც შეეხება მსგავსებებს, ლუკა ამბობს, რომ ორივე უნივერსიტეტში იგრძნობა, რომ სამართლის სწავლება მიმდინარეობს ეროვნულ ფესვებზე აქცენტებით და რომ ორივე უნივერსიტეტის ლექტორები სტუდენტების ცოდნის გაღრმავებაზე არიან ორიენტირებულნი.

ესპანეთში გატარებული სემესტრი ლუკასთვის, აკადემიური გამოცდილების დაგროვების გარდა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილების მიღებითაც აღინიშნა: „ლექციების შემდეგ უნივერსიტეტის ეზოში, ქუჩის კაფეებში თუ პარკებში ყოველთვის შეამჩნევთ სტუდენტებს და ადგილობრივებს, რომლებიც ერთად სხედან, საუბრობენ, კითხულობენ ან უბრალოდ ერთობიან, თითქოს დროის ფასი უკეთესად იცინან, მაგრამ არ ჩქარობენ. ეს მათი ცხოვრების მარტივი დეტალია, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა... ამ ყველაფერმა მასწავლა, როგორ დავაფასო ყოველდღიური მომენტი და როგორ ვი-

პოვო სიამოვნება იმაშიც კი, რაც ადრე რუტინად მიმაჩნდა“.

გაცვლითი სემესტრის განმავლობაში ლუკამ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაშიც იმოგზაურა და გაგვიხილა ის შთაბეჭდილებები, რაც საფრანგეთის, პორტუგალიის, გერმანიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგისა და უნგრეთის ხილვამ მასში გამოიწვია: „საფრანგეთში მომხიბლა ისტორიისა და არქიტექტურის სინთეზმა, განსაკუთრებით პარიზში არსებული მუზეუმების მრავალფეროვნებამ. პორტუგალიაში კი ყველაზე მეტად ხალხის სითბო და ზღვისპირა ქალაქების მშვიდი, მზიანი ატმოსფერო დამამახსოვრდა. გერმანიაში ვიგრძენი ნესრიგის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, როცა ყველაფერს აქვს თავისი ადგილი და დრო. ნიდერლანდებში აღფრთოვანებული დავრჩი მათი „ინკლუზიური“ საზოგადოებითა და თანამედროვე ურბანული გარემოთი, სადაც ველოტრანსპორტირებაა წარმოუდგენლად განვითარებული. ლუქსემბურგი სიმყუდროვითა და მულტილინგუური გარემოთი გამორჩეული აღმოჩნდა, უნგრეთში კი „ისტორიული შრეების“ სიმძაფრემ მიიპყრო ჩემი ყურადღება“.

მიუხედავად იმისა, რომ, თავდაპირველად, ლუკა ძაძაძიამ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას აკადემიური გამოცდილების მიღებისთვის კარგ საშუალებად განიხილავდა, სემესტრის ბოლოს ის უკვე საკუთარ თავსაც გამოუტყდა – რომ უცხოეთში სწავლამ მეტი თავდაჯერებულობა და დამოუკიდებლობა შესძინა. „პირველად აღმოვჩნდი სრულიად უცხო გარემოში, სხვა ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაში, სრულიად განსხვავებული წესებისა და კულტურის მქონე რეალობაში და სწორედ ამ დროს გავაცნობიერე, რომ ყველაზე დიდი ძალა ჩემშია“, – აღნიშნა ლუკამ.

# რა გამოწვევებზე საუბრობს ანა ავაქაშვილი წარმატებული გამოცდილების მიღმა

თამარ დავიანი

ანა ავაქაშვილი თსუ-სეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტია. მისი მონათხრობი ნათლად ასახავს იმ გამოწვევებს, შესაძლებლობებსა და წარმატებებს, რომლებიც თსუ-ს სტუდენტობას თან სდევს. „თსუ ჩემთვის, პირველ რიგში, ხარისხიანი განათლების, აკადემიური თავისუფლებისა და დიდი ისტორიის მქონე სივრცეა. გადავწყვიტე სწორედ აქ მესწავლა საერთაშორისო ეკონომიკა, რადგან ვიცოდი, რომ ეს ფაკულტეტი გაძლიერებულ აკადემიურ ბაზაზე დგას და დაკომპლექტებულია პროფესიონალი ლექტორების გუნდით“, – ამბობს ანა.

ანა საუბრობს იმ გამოწვევაზეც, რომელიც, მისი აზრით, თსუ-ს კიდევ უფრო მეტად გააძლიერებდა: „სასურველი იქნება კიდევ უფრო მეტად განვითარდეს პრაქტიკული კურსები და ბიზნეს-სექტორთან პარტნიორობები, რაც სტუდენტებს სწავლების პარალელურად გაუადვილებდა რეალური გამოცდილების დაგროვებას“.

სასწავლო პროცესში ანაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ეკონომიკური პოლიტიკის ლექტორმა, პრო-



ფესორმა ირინა გოგორიშვილმა. „მისი ლექციები იყო არა მხოლოდ ინფორმაციული და მდიდარი შინაარსის, არამედ მიზანმიმართული სტუდენტის პროფესიული ხედვის ჩამოყალიბებისკენ. ეს არის ის შემთხვევა, როცა ლექტორი ნამდვილად „შთაგაგონებს“, – გვითხრა ანამ.

საკუთარ წარმატებად საუნივერსიტეტო სივრცეში ანა მიიჩნევს თანმიმდევრულ ზრდას, რომელსაც სწავლის განმავლობაში მიაღწია. ბაკალავრიატში, ოთხი წლის განმავლობაში, მან ყველა სემესტრში მიიღო სემესტრული სტიპენდია, რაც მისთვის არა მხოლოდ ნახალისება იყო, არამედ პასუხისმგებლობის ზრდის საფუძველიც გახდა.

მისი კვლევითი ინტერესები თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს უკავშირდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც სწავლებისას მოამზადა, ეხებოდა მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას და მის გავლენას შრომის ბაზარზე. „ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა ჩემთვის, რადგან უკავშირდება გლობალურ ეკონომიკურ ტრენდებს, შრომის ბაზრის ცვლილებებსა და საერთაშორისო ეკონომიკის სწრაფად ცვალებად რეალობას. სწორედ ამ მიზეზით ვგეგმავ – სამაგისტრო ნაშრომიც ამ თემატიკას დაუკავშირო და მასში ღრმად შევისწავლო ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა შრომით ურთიერთობებზე საერთაშორისო დონეზე“, – აღნიშნავს ანა.

სტუდენტური ცხოვრება თსუ-ში, ანას შეფასებით, მრავალფეროვანია, თუმცა იგი გამოწვევებზეც საუბრობს: „ვისურვებდი მეტ შესაძლებლობას

სტაჟირებისა და პრაქტიკული საქმიანობის კუთხით, რაც პირველ ნაბიჯებს წარმოადგენს დაგროვილი თეორიული ცოდნის საფუძვლიანად გამოყენების მხრივ. ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის პროფესიულ სფეროსთან პირდაპირი კავშირების გაძლიერება – მათ შორის შეხვედრები სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან და სფეროს პროფესიონალებთან“.

ანა სამომავლო გეგმებზეც საუბრობს და აპირებს მის მიერ არჩეული სპეციალობის შესაბამისად დასაქმდეს. „ამ ეტაპზე ვმუშაობ ისეთ სფეროში, სადაც არ მაქვს სრული შესაძლებლობა – გამოვიყენო ჩემი დაგროვილი ცოდნა და უნარები. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მალე შევძლებ ისეთი სამსახურის პოვნას, სადაც მექნება შესაძლებლობა – გავაანალიზო ეკონომიკის ფართო სპექტრის საკითხები, მივიღო გამოწვევები და შევიშუშავო ეფექტიანი გადაწყვეტილებები. მიზნად დავისახე ვიყო პროფესიონალი, რომელიც თავისი ცოდნით არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ საზოგადოებასაც სარგებელს მოუტანს“, – ამბობს ანა ავაქაშვილი, რომელიც საუნივერსიტეტო სივრცეში დაგროვილ ღირებულებებს უკვე რეალურ ცხოვრებაში იყენებს.

# თამარ მაზანიშვილია შემოდგომის სემესტრი კომენიუსის უნივერსიტეტში გაატარა

6060 ჩარაჰიანი

მსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა თამარ მაზანიშვილია შემოდგომის სემესტრი სლოვაკეთში, კომენიუსის უნივერსიტეტში გაატარა – უნივერსიტეტთაშორისი ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

კომენიუსის უნივერსიტეტი ცენტრალური ევროპის ერთ-ერთ ნამყვან უმაღლეს სასწავლებლად ითვლება. ეს უნივერსიტეტი განსაკუთრებით ინტერდისციპლინარული კვლევებითაა ცნობილი. ჩემთვის აქ სწავლა მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო აკადემიური და პროფესიული განვითარებისთვის. ლექციები, ძირითადად, ინგლისურად მიმდინარეობდა და დატვირთული იყო სადისკუსიო ფორმატით, რაც ხშირად თემის ღრმა ანალიზისკენ გვიბიძგებდა და საშუალებას მაძლევდა შემდეგარებინა ქართული და ევროპული სამართლის სისტემები, – ამბობს თამარი.

გაცვლითი სემესტრი მისთვის მხოლოდ სწავლით არ შემოიფარგლა – თამარი აქტიურად იყო ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში: „ძალიან საინტერესო იყო Erasmus Student Network-ის მიერ ორგანიზებული აქტივობები – სტუდენტური ტურები, კულტურული საღამოები, სპორტული თამაშები... განსაკუთ-

რებულად დამამახსოვრდა „საერთაშორისო ვახშამი“, რომელიც ყოველკვირეულად იმართებოდა და სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს გაცნობდა. ეს ყველაფერი ხელს უწყობდა კულტურათაშორის დიალოგის განვითარებას“.

სლოვაკეთში სწავლის პერიოდის თამარ მაზანიშვილი განსაკუთრებულად იხსენებს შედარებითი კონსტიტუციური სამართლის სალექციო კურსს, რომლის ფარგლებშიც მრავალი დისკუსია იმართებოდა: „სტუდენტებმა წარმოვადგინეთ ჩვენ-ჩვენი ქვეყნის საკონსტიტუციო სამართლის განვითარების ისტორია, თანამედროვე ვითარება და ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რაც დღეს არსებობს. ბევრისთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ის რეალობა, რომელიც საქართველოში კონსტიტუციური დემოკრატიის ფორმირების გზაზე შეიქმნა – განსაკუთრებით ისეთი თემები, როგორებიცაა ძალაუფლების ბალანსი, სასამართლოს დამოუკიდებლობა და ადამიანის უფლებების დაცვა. ეს დისკუსია ჩემთვის ღირებული იყო, რადგან უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში არა მხოლოდ დღეს მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის გაზიარება, არამედ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების შეფასება კრიტიკული თვალთვალს“.

სტუდენტი ასევე ყურადღებას ამახვილებს მოლაპარაკებების სასწავლო



კურსზე: „ეს საგანი ჰარვარდის ბიზნეს სკოლის მოდელზე იყო აგებული და პრაქტიკული ამოცანებისგან შედგებოდა – თითოეულ ლექციაზე ვირგებდით სხვადასხვა როლს და ვატარებდით მოლაპარაკებებს რეალური სცენარების მიხედვით, მაგალითად როგორც ამას აკეთებენ საერთაშორისო კომპანიები, მაღალი რანგის მენეჯერები ან იურისტები... ძალიან პრაქტიკული და გამოცვალი კურსი იყო და სრულიად შემთხვევით ხედავ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივუდგე სიტუაციურად მოლაპარაკებებს როგორც პროფესიულ, ისე ყოველდღიურ კონტექსტში“.

კითხვაზე – როგორ განსხვავდება სწავლის პროცესი თსუ-სა და კომენიუსის უნივერსიტეტში, თამარი გვპასუხობს: „ორივე უნივერსიტეტი მაღალი აკადემიური სტანდარტით გამოირჩევა, თუმცა სლოვაკეთში სწავლა ბევრად

პრაქტიკულ კომპონენტებზეა ორიენტირებული. იქ სტუდენტებს ხშირად აძლევენ შესაძლებლობას – იმუშაონ ქეისებზე, გამოხატონ განსხვავებული პოზიციები, ჩაერთონ დისკუსიებში. ასევე, განსხვავებულია შეფასების ფორმატიც – იყო ზეპირი გამოცდებიც კი, რაც თსუ-ში იშვიათად გვხვდება“.

გაცვლითი სემესტრი სწავლასთან ერთად თამარისთვის მოგზაურობასთანაც ასოცირდება: „ბრატისლავა იდეალურ ადგილზე მდებარეობს – ერთი საათის გზაზეა ვენა და ბუდაპეშტი. ამიტომ ხშირად გვეგმავდით სპონტანურ მოგზაურობებს. მოვხვდი პრალაში, დუბროვნიკში, რომში, მალტაზე, კოპენჰაგენში... ყველა მოგზაურობა თავისებურად განსაკუთრებული იყო. მაგრამ ყველაზე მეტად კოპენჰაგენი მომეწონა – საოცრად მშვიდი და მოწესრიგებული ქალაქია“.

სლოვაკეთში გატარებულმა რამდენიმე თვემ თამარს ბევრი რამ ასწავლა. „ეს პერიოდი დამეხმარა საკუთარი პოტენციალის გაცნობიერებაში. ვისწავლე, როგორ ვიყო დამოუკიდებელი, როგორ დავძლიო სირთულეები და ვიმოქმედო მაშინაც კი, როცა ყველაფერი გეგმით განერილი არ არის. მივხვდი, რომ კომფორტის ზონიდან გასვლა აუცილებელია ზრდისთვის. მთავარია, არ შეგეშინდეს ამ გზის“, – გვითხრა თამარ მაზანიშვილი.

# ელენე თუზაია ერთი სემესტრი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გაატარა

6060 ჩარაჰიანი

ელენე თუზაია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტია. 2024 წლის გაზაფხულის სემესტრი მან გერმანიაში ისწავლა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ერთნაირი პროგრამის – DESK-ის ფარგლებში.

„ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი დღეები კონკრეტულად ამ გაცვლით სემესტრს და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტს უკავშირდება“, – გვიყვება ელენე. ეს მისთვის უკვე მეორე გაცვლითი სემესტრი იყო გერმანიაში. პირველად 2022 წელს, ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა ჰქონდა.

ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის გამოცდილება ელენესთვის მრავალმხრივ განვითარებასთან ასოცირდება. აქ არა მხოლოდ ლექციებზე დასწრება და აკადემიური ცოდნის მიღება იყო მნიშვნელოვანი, არამედ საკლასო სივრცის მიღმა არსებული აქტივობები: „გვქონდა შემეცნებითი გასვლითი შეხვედრები გერმანიის პარლამენტში, ბუნდესრატში, განათლებისა და კვლევის ფედერალურ სამინისტროში და გერმანიის რადიოშიც კი. მრავალფეროვანი იყო უნივერსიტეტის მიღმა ცხოვრებაც – ტრადიციულმა გერმანულმა საღამოებმა ჩემს მასპინძელ ოჯახში, საშობაო ბაზრობებმა, ბერლინის კინოფესტივალმა და გერმანიის საპარლამენტო არჩევნებმა ჩემი სემესტრი დაუფინყარ მოგონებად აქცია“ – ამბობს იგი.

როგორც ელენე თუზაია გვიყვება, DESK-ის 2023-2024 წლების პროგრამის ძირითადი შინაარსი ეკონომიკისა და ევროკავშირის სამართლისკენ იყო მიმართული, ამიტომ მის მიერ გავლილი



საგნებიც ამ თემებს შეეხებოდა – გერმანიის შრომითი და საჯარო (ადმინისტრაციული) სამართალი, გერმანიის ფედერალური მონეტარა და ფედერაციის პოლიტიკური ეკონომიკა. სტუდენტს მისთვის გამორჩეულ საგანზეც ვკითხეთ: „ჩემი გაცვლითი სემესტრის მიმდინარეობა მსოფლიოში მოჭარბებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ არასტაბილურობას დაემთხვა, ამიტომ გერმანული ენის კურსები მიმდინარე სიახლეების განხილვისა და საინტერესო დისკუსიების ფონზე ყველაზე გამორჩეული საგანი იყო. მსოფლიოს თითქმის ყველა ნერტილიდან შეკრებილი სტუდენტები ერთ სივრცეში ვაფასებდით ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ისრაელში, საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და პროფესორების დახმარებით სწორ სამართლებრივ აქცენტებს ვსვამდით“. – იხსენებს ელენე.

თსუ-სა და გერმანული უნივერსიტეტების ერთმანეთთან შედარებისას, ელენე ხაზს უსვამს, რომ გერმანიაში სტუდენტის შეფასება უფრო კომპლექსურია, ლექციებზე დასწრება ნებაყოფლობითია, ხოლო შეფასება მთლიანად ფინანსურ გამოცდაზეა დამოკიდებული

(განსხვავებით თსუ-სგან, სადაც შეფასების კრიტერიუმები ბევრად ლიბერალურია). გარდა ამისა, სტუდენტის აღნიშნავს, რომ ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი განიხილება მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურ სასწავლო ონლაინ პლატფორმაზე – აქ გერმანული ბიუროკრატია კატეგორიულად უარყოფს სოციალური ქსელების გამოყენებას სასწავლო მიზნებისთვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელზეც ელენე საუბრობს, სწავლების პროცესს შეეხება: „სწავლების პროცესი აბსოლუტურად დაფუძნებულია პირად პასუხისმგებლობაზე (მასალების თავად მოძიება, შესაბამისი საკითხების დამოუკიდებლად განსაზღვრა და დამუშავება), და ეს მაშინ, როცა თსუ-ში ეს ყოველივე დეტალურად არის სილაბუსებში განერილი. ორივე საუნივერსიტეტო სივრცეში აქტიურად ტარდება კონფერენციები, სემინარები და შემეცნებითი ღონისძიებები, თუმცა მათ ჩატარება გერმანულ უნივერსიტეტში ძირითადად ადმინისტრაცია უზრუნველყოფს და ამ ნაწილში ნაკლებია სტუდენტური თვითმართველობის ჩართულობა“.

ელენესთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა გერმანიაში შეძენილ მეგობრებთან და პროფესორებთან კომუნიკაცია: „ყველაზე დასაფასებელი ის ურთიერთობები არის, რაც კულტურულად მრავალფეროვან, მოტივირებულ სტუდენტებთან და უღრესად განსწავლულ აკადემიურ წრეებთან ჩამომიყალიბდა. სწორედ ამის გამო ვთვლი, რომ ძალიან იღბლიანი სტუდენტი ვარ“.

გერმანიაში სწავლისას ელენე ევროპის სხვა ქვეყნებსაც ეწვია. მან პოლონეთში შედარებითი სამართლის კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მისი სამომავლო კვლევის თემატიკა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან ჩამოსულ ლექტორებს და ახალგაზრდა მკვლევრებს გაუზიარა. ელენე გვიამბობს, რომ უნგრეთში მისი ვიზიტი სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საკითხებს ეხებოდა.

დაბოლოს, ელენე თუზაია მიღებული გამოცდილების ერთ მნიშვნელოვან გაკვეთილზე საუბრობს: „გერმანიაში გატარებულმა გაცვლითმა სემესტრმა ჩემი ბევრი შეხედულება შეცვალა, გამზარდა პიროვნულად და პროფესიულად, თუმცა არის ერთი ყველაზე დიდი გაკვეთილი, რომელიც იქ ყოფნისას ავითვისე – ვფიქრობ, საბოლოოდ ჩამოვყალიბდი ისეთ მოქალაქედ, რომელმაც გაიზარა მისი წილი სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა“.

ელენე იმედოვნებს, რომ თსუ-ს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შანსი კიდევ დიდხანს ექნებათ: „ვიმედოვნებ, რომ ევროპულ ღირებულებებთან ზიარების ეს უნიკალური შანსი კიდევ დიდხანს ექნებათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს ევროპული განათლების სტანდარტებში სრულად მოქცევა“.




# ახალი შესაძლებლობა ახალგაზრდა არქეოლოგებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები რუსთავის ისტორიული ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შუა საუკუნეების სასახლის არქეოლოგიურ შენახვაში მიიღებენ მონაწილეობას.

მასშტაბური არქეოლოგიური ექსპედიციის პროექტის წარდგინის ღონისძიებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაქტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მიიღო მონაწილეობა. მან რუსთავის ციხესიმაგრეზე, როგორც ისტორიული მნიშვნელობის ძეგლზე და ექსპედიციის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ეს პროექტი არის უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი არქეოლოგებისთვის, მეცნიერებისთვის და სტუდენტებისთვის – შეინახვონ შუა საუკუნეების ძეგლი, სადაც შესაძლოა აღმოჩნდეს უამრავი ფენა“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუსთავის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომელიც მიზნად ისახავს რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის სავალე არქეოლოგიურ საკვლევ-საძიებო სამუშაოებში თსუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ექსპედიცია რუსთავის მერიისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ორგანიზებით სორცეილდება.



# საერთაშორისო დონის სახელმძღვანელო – „ეკონომიკა ბიზნესისათვის“ – ქართულად ითარგმნა

თამარ ლაღიანი

ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მრავალი წლის აკადემიური გამოცდილების საფუძველზე, წარმატებით განახორციელა საერთაშორისო დონის სახელმძღვანელოს – „Economics for Business“ ( ავტორები: ჯონ სლოუმენი, დინ გარიტი, ჯონგესტისი, ელიზაბეტ ჯონსი) – სრული ქართული თარგმნისა და ადაპტაციის პროექტი თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი და მთარგმნელთა ჯგუფი წლებია შრომობენ არა მხოლოდ ტექსტის სიზუსტეზე, არამედ მის სამეცნიერო, მეთოდოლოგიურ და ლინგვისტურ სისრულეზე.

აღნიშნული პროექტი მეტია, ვიდრე მხოლოდ თარგმანი – ეს არის ერთგვარი აღიარება იმის შესახებ, რომ მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური ცოდნა უნდა გახდეს ეროვნული უნივერსიტეტების საკუთრება – ხელმისაწვდომი, გასაგები და ადაპტირებული იმ სტუდენტებისთვის, ვინც ირჩევს ეკონომიკურ აზროვნებას ქართულ აკადემიურ სივრცეში.

სახელმძღვანელოს „Economics for Business“ თარგმნის მნიშვნელობასა და მის როლზე ეკონომიკური განათლების განვითარების მიმართულებით გვესაუბრება ნიგნის სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოიცა მსოფლიოში ცნობილი სახელმძღვანელოს – „Economics for Business“ (მერვე გამოცემა, Pearson Education) – სრული ქართული თარგმანი. სახელმძღვანელოს ავტორებია: ჯონ სლოუმენი, დინ გარიტი, ჯონგესტისი, ელიზაბეტ ჯონსი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ლექტორებისთვის აღნიშნული თარგმანი წარმოადგენს აკადემიური ცოდნის პოპულარიზაციისა და ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერის ნათელ



მაგალითს – სტუდენტებს მშობლიურ ენაზე მიენოვებათ თანამედროვე ეკონომიკური ცოდნა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკისა და, ზოგადად, სოციალურ მეცნიერებათა სტუდენტებისთვის.

დღეს სტუდენტების დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომია უცხოენოვანი ლიტერატურა, თუმცა, ხშირად მაინც იქმნება დეფიციტი კონცეფციების აღქმისა და აკადემიური ტერმინოლოგიის სრულყოფილად ათვისების თვალსაზრისით. „Economics for Business“-ის ქართულად თარგმნა ამ პრობლემის გადაჭრის ერთგვარი შესაძლებლობაა. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ რთული ეკონომიკური კატეგორიები და მოდელები გააანალიზონ მშობლიურ ენაზე, უკეთესად აითვისონ თეორიული მასალა, გამოუმუშავდეთ ეკონომიკური ანალიზისა და სტრატეგიული აზროვნებისთვის ძლიერი საფუძველი.

სახელმძღვანელოს ქართულენოვანი გამოცემა არ წარმოადგენს მხოლოდ ტექსტის ენობრივ ტრანსფორმაციას, იგი არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბიზნესის ეკონომიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებითაც. ამდენად, სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემის ინიციატივა პასუხობს როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებს, ისე იმ სტრატეგიულ ამოცანებს, რაც დღეს საქართველოს ეკონომიკური განათლების სისტემის წინაშე დგას.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო არა მხოლოდ თეორიულ ცოდნაზეა ორიენტირებული, არამედ ითვალისწინებს პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნე

ბულ სწავლებასაც. ის ეხმარება სტუდენტებს იმუშაონ რეალურ ბიზნესქეიმებზე, უყალიბებს მათ კრიტიკული ეკონომიკური აზროვნების უნარებს. მსგავსი მიდგომა სრულად შეესაბამება თანამედროვე განათლების მოთხოვნებს და ეფუძნება პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების ფილოსოფიას. ნიგნი მიზნად ისახავს სტუდენტებში ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას ისეთი პრაქტიკული თემების ჩრდილში, როგორებიცაა მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმები, კონკურენცია ბაზარზე, შრომის ბაზრის თავისებურებები, სამთავრობო პოლიტიკის გავლენა ბიზნესგარემოზე, გლობალიზაციის პირობებში კომპანიების სტრატეგიული ქცევა და სხვა. სახელმძღვანელო დაწერილია მარტივი, მკაფიო ენით და გამდიდრებულია რეალურ ბიზნესქეიმებზე დაფუძნებული მაგალიტებით, რაც აუმჯობესებს სტუდენტის ჩართულობას და უმარტივებს მათ რთული ეკონომიკური პრობლემების გაგებას.

ქართული თარგმანი მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ თვალსაზრისითაც, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკურ რეალობაზე მორგებული ქეისებისა და მაგალიტების გამოყენებით ჩაუღრმავდნენ გლობალურ ეკონომიკურ თეორიებს.

ამ სახელმძღვანელოთი უკვე მრავალი წელია ასწავლიან დიდი ბრიტანეთისა და ევროპის წამყვან სხვა უნივერსიტეტებში. ნიგნი თარგმნილია ჩინურ, ესპანურ, გერმანულ და სხვა ენებზე. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებული სახელმძღვანელოების თარგმნის ტენდენციამ კიდევ

ერთხელ აჩვენა, რომ ბიზნესის ეკონომიკის სწავლება შესაძლებელია ეროვნული ენის ფარგლებში ისე, რომ არ დაიკარგოს მეთოდოლოგიური სიღრმე და თეორიული სწავლების სტანდარტი. სწორედ ამ გამოცდილების გათვალისწინებით, თსუ-ს აკადემიური გუნდის ძალისხმევით შესრულებული ქართული თარგმანი წარმოადგენს ხარისხიანად ადაპტირებულ რესურსს, რომელიც სრულად პასუხობს ეროვნული საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებს.

სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი მე გახლავართ, ხოლო სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: აკადემიკოსივლადიმერ პაპავა, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი; ეკონომიკის მეცნიერებათა და ეკონომიკის აკადემიური დოქტორები: გიორგი ლაღიანი, ინეზა გაგნიძე, იური ანანიასვილი, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ელგუჯა მექვაბიშვილი, მირიან ტუხაშვილი, ნათია ნიკლაშვილი, მარინა ჩავლეიშვილი, თამარ ლაზარიაშვილი.

მთარგმნელებია ეკონომიკის აკადემიური დოქტორები: ია ნაცვლიშვილი, ნინო ლობჯანიძე, ქუჯი ბიჭია, ნინო ტალიკაძე.

ამ გამოცემით თსუ კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის წამყვან როლს საქართველოში ეკონომიკური განათლების ხელმძღვანელობასა და განვითარებაში. სახელმძღვანელო არის უნივერსალური რესურსი როგორც თბილისის, ისე რეგიონული უნივერსიტეტებისთვის.

ქართულენოვანი სახელმძღვანელო „ეკონომიკა ბიზნესისათვის“ მნიშვნელოვნად გაზრდის სწავლების ხარისხს, გაამარტივებს ეკონომიკური საკითხების გააზრებას, განავითარებს ქართულ ეკონომიკურ ლექსიკას, შექმნის თანამედროვე პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების შესაძლებლობას. სახელმძღვანელოს გამოცემა არის სტრატეგიული ნაბიჯი სტუდენტთა ცოდნის ამაღლების, ეროვნული აკადემიური სივრცის გაძლიერებისა და ეკონომიკური განათლების განვითარების მიმართულებით.

# გამოვიდა მამუკა ჭანტურაიას ნიგნი – „ლიტერატურული ტრიპტიქი ნიკო ლორთქიფანიძის თემებზე“


მანა ბორაძე

2025 წელს, ნიკო ლორთქიფანიძის დაბადებიდან 145-ე წლისთავის აღსანიშნავად, გამოიცა საინტერესო და ღირებული ნაშრომი – ფილოლოგიის დოქტორისა და თსუ-ს მუზეუმის წამყვანი სპეციალისტის, მამუკა ჭანტურაიას ნიგნი – „ლიტერატურული ტრიპტიქი ნიკო ლორთქიფანიძის თემებზე“. ნიგნი მოგვითხრობს დიდი მწერლის სამი მინიატურის – „ბებრები“, „თავსაფრიალი დედაკაცი“ და „ტრაგედია უგმიროთ“ – თემატიკასა და მხატვრულ თავისებურებებზე.

როგორც ავტორი ამბობს, მისი მიზანი იყო ნიკო ლორთქიფანიძის მრავალმხრივი ტექსტების სიღრმეში ჩაღრმავება და მოქმედ პირთა ხასიათების, შინაგანი განცდების, სულიერი წინააღმდეგობების და მწერლის სტილური მრავალფეროვნების ჩვენება: „წელს 145 წელი შეუსრულდა ქართული სიტყვის დიდოსტატს ნიკო ლორთქიფანიძეს. ჩვენი მოკრძალებული ნაშრომიც ამ თარიღს ეძღვნება. ამ სამი მინიატურის მიმოხილვით ვცადეთ – გვეჩვენებინა მოქმედ პირთა ხასიათები, მათი სულიერი განცდების ურთიერთმონაცვლეობა, პიროვნებათა კონტრასტული თვისებები; ასევე, შეგვეგრძნო მწერლის მეტყველების ცვალებადობა, მისი სტილური თავისებურებანი“, – აღნიშნა მამუკა ჭანტურაიამ.

„ლიტერატურული ტრიპტიქი ნიკო ლორთქიფანიძის თემებზე“ განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე ყველა იმ მკითხველისთვის, ვინც დაინტერესებულია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით

ნიგნის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას რეცენზენტი, ფილოლოგიის დოქტორი სოფიკო ძნელაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ მამუკა ჭანტურაიას ტექსტი სამეცნიერო ანალიზთან



ერთად ატარებს ესეისტურ ელფერს – რაც მას მეტემოციურობასა და ავტორისეული ხედვის ძალას მატებს: „მამუკა ჭანტურაიას ნაშრომი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას

ეხება. ტექსტები განსხვავებულად, ესეისტურ ჩრდილშია გადმოცემული. საინტერესო და სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ნაშრომში კარგად იკვეთება თავად ავტორის დამოკიდებულება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების მიმართ“, – წერს სოფიკო ძნელაძე.

ნაშრომს მხატვრული დატვირთვაც ახლავს – იგი გამდიდრებულია მხატვარ ანდრო ამბარცუმიანის გრაფიკული ნამუშევრებით, ხოლო ყდის დიზაინი ეკუთვნის მარიამ ებრალიძეს. გამოცემის მომზადებაში მონაწილეობდნენ ნინო ვაჩიშვილი და ნანა კაჭაბავა.

„ლიტერატურული ტრიპტიქი ნიკო ლორთქიფანიძის თემებზე“ განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე ყველა იმ მკითხველისთვის, ვინც დაინტერესებულია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით.

მამუკა ჭანტურაიას ეს ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში და ხელს შეუწყობს ნიკო ლორთქიფანიძის ფენომენის ღრმად გააზრებას ახალი თაობის მკითხველისათვის.

# თენგიზ კიკაჩიშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი XIX საფაკულტეტო კონფერენცია თსუ-ში

61667 ჩარაჰიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 30 ივნისს XIX საფაკულტეტო კონფერენცია გახსნა, რომელიც პროფესორ თენგიზ კიკაჩიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავს მიეძღვნა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო კონფერენციები 2006 წლიდან ტარდება. როგორც დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე აღნიშნავს, ღონისძიება ყოველწლიურად იმ მეცნიერს ეძღვნება, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაში: „ეს არის ჩვენი ტრადიციული საფაკულტეტო ინტერდისციპლინური კონფერენცია, რომელიც უკვე მეცხრამეტედ ტარდება. გარკვეულწილად, ეს ჩვენი სამეცნიერო მუშაობის შეჯამებაა. წელს აქ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ბატონი თენგიზი გავიხსენოთ, კიდევ ერთხელ შევაფასოთ და დავაფასოთ მისი ღვაწლი; წამოვაჩინოთ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში მის მიერ შეტანილი წვლილი და გავიხსენოთ ის როგორც ლექტორი, პიროვნება, ქვეყნის სამსახურში მდგარი მოღვაწე“.

წლევანდელი საფაკულტეტო კონფერენციის თენგიზ კიკაჩიშვილისთვის მიძღვნილი გადანიშნულება ფაკულტეტის საბჭომ თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ ირმა რატიანის და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის ეკატერინე ნავროზაშვილის ინიციატივით მიიღო.

კონფერენცია გახსნა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ თენგიზ კიკაჩიშვილი იყო არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი, სტუდენტების საყვარელი ლექტორი და შესაწავიანი მეცნიერი, არამედ საზოგადო მოღვაწეც.



4 დღიანი კონფერენციის პირველი ორი დღე პროფესორების მოხსენებებს დაეთმო, 2-3 ივლისს კი ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია, სადაც სექციური მუშაობა წარმართა ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, არქეოლოგიის და ფილოლოგიის მიმართულებით.

სექციური მუშაობის დროს პროფესორებმა წარადგინეს მოხსენებები შემდეგ თემებზე: „კულტურული რევოლუცია და საბჭოთა სოციალისტური კულტურა“ (მაია ქვრივიშვილი), „კაუზატიური კონსტრუქციების ნანოსინტაქსი თაბასარანულ ენაში“ (ცირა ბარამიძე), „ქართული აქტივიზაციის ზმნურ პარადიგმათა სემანტიკურად ადეკვატური ინგლისური თარგმანისთვის“ (რამაზ ქურდაძე, ირინე დემეტრაძე), „პოლიტიკური საგაზეთო ტექსტების სემანტიკური ანოტაცია და ანალიზი ლექსიკოგრაფიის ჭრილში“ (მარინე მახათაძე), „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და ევროპელი მისიონერები აზიის ქვეყნებში“ (ნანა გელაშვილი), „ეგვიპტური დღვაებები საქართველოში“ (მარიკა მშვილდაძე), „შუასაუკუნეების ხელოვნების ფილოსოფიურ-ესთეტიკური ანალიზი“ (ნაბა გულიაშვილი).

კონფერენციის დღეებში თსუ-ს მუზეუმში გაიხსნა პროფესორ თენგიზ კიკაჩიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა, ასევე გაიმართა ირმა რატიანის მონოგრაფიის – „დრამის პოეტიკა ქართული აქცენტით“ პრეზენტაციაც, რომელიც ასევე

მიეძღვნა თენგიზ კიკაჩიშვილს.

ღონისძიების გახსნისას ირმა რატიანმა გაიხსენა ბატონი თენგიზის ცხოვრების გზა და მის მიერ გადატანილი ტკივილები, რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის ხელი არასდროს შეუშლია: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ – ეს სიტყვები სავსებით ესადაგება ბატონი თენგიზის ცხოვრების და მოღვაწეობის გზას, ერთიანად გაუღენთილს თავისი ქვეყნისადმი ერთგულებითა და თავდადებათ. მიუხედავად უმძიმესი პირადი ტრაგედიისა, არ გატეხილა... არავინ დაუძიმებია თავისი დარდით. მხოლოდ წლებს შემდეგ დანერა ნიგნი – „მარადის არის ნიგნი“, სადაც პირველად გამოხატა ეროვნული და პიროვნული ტკივილით გაჯერებული ფიქრები შვილზე, საქართველოს წარსულზე, ანმოსა და მომავალზე“, – აღნიშნა ირმა რატიანმა.

თენგიზ კიკაჩიშვილი ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის გამორჩეული მკვლევარი იყო; მის ლექციებს სტუდენტთა განსაკუთრებული ინტერესი ახლდა თან: „ლექციებზე ტევა არ იყო, იმიტომ რომ ის ვერ თავსდებოდა სტანდარტებში, ვერ ეტეოდა ჩარჩოებში. ყოველი ლექცია ახალი იმპროვიზაცია იყო – მიმართული ლიტერატურისა და თავისუფლებისკენ“, – ამბობს ქალბატონი ირმა.

პროფესორი აქტიურად იკვლევდა თავისუფლების იდეის ისტორიას ლიტერატურაში. მისი სამეცნიერო მემ-

კვიდრობა – მონოგრაფიები, ნარკვევები, თხზულებები – დღესაც სამაგიდო ლიტერატურაა ლიტერატურათმცოდნეობისა და სტუდენტებისთვის. კონფერენციის გახსნაზე მოგონებებით გამოვიდნენ ბატონი თენგიზის კოლეგები, მეგობრები, მისი მოწაფეები და ყოფილი სტუდენტები.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თენგიზ კიკაჩიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1964 წელს დაამთავრა და მალევე შეუდგა უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას. 1987 წლიდან იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე. არის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 4 მონოგრაფიისა და 4 კრებული ავტორი. მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმში. დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, ღირსების ორდენითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალეობის ორდენით.

როგორც თავად წერდა: „ზნეობრივი კომპრომისის სარჯზე ვერასოდეს შედგება სრულყოფილი ზეიმი სულისა, რასაც თავისუფლება ჰქვია“. დღეს, მისი სახელობის კონფერენციაში მონაწილე პროფესორები და სტუდენტები ცდილობენ გააგრძელონ ის ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომელიც პროფესორმა თენგიზ კიკაჩიშვილმა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას დაუტოვა.

## ზურაბ ჩხაიძის გახსენება

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტმა და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტმა მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, მორფოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი, ცნობილი ექსპერიმენტატორი, მორფოლოგი, პერფუზიოლოგი და სამედიცინო განათლების ამავდარი ზურაბ ჩხაიძე.

მან პროფესიული კარიერა 1970-იან წლებში დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა სამკურნალო საქმის სპეციალობით. სპეციალობაში დახელოვნება გაიარა თბილისში, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში. 2008 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ის იყო მალაი კლასის კლინიცისტი, რომელმაც წარმატებით დაამკვიდრა თავი საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე.

ზურაბ ჩხაიძე, როგორც ასოცირებული პროფესორი, მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტს, კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრას, ამასთანავე იგი გახლდათ მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური ანატომიისა და ექსპერიმენტული მოდელირების დეპარტამენტის გამორჩეული მკვლევარი. მის მიერ ჩატარებული ლექციების, ასევე მისი მეცნიერული პროდუქციის ხარისხი აღიარებული იყო სტუდენტების და ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ.

**ის დარჩება ჩვენს მეხსიერებაში როგორც კაცი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს საზოგადოებაში მეცნიერის და პედაგოგის მაღალი პროფესიული სტანდარტის და ზნეობრივი ხატის დამკვიდრებაში**



პერფუზიულ კონსერვაციას, ლვიძლის ტრანსპლანტაციის მოდელირებას და ექსპერიმენტულ ბიოტექნოლოგიებს. მის მიერ დამუშავებული მოდელები და ტექნოლოგიები გადამწყვეტი აღმოჩნდა როგორც ორგანოთა კონსერვაციის კვლევაში, ისე აპარატურის ინჟინერიაში. მის მიერ მოპოვებული იყო არაერთი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი.

2022 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ზურაბ ჩხაიძეს მიანიჭა მედალი – გამორჩეული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

მისი ნაშრომები დაბეჭდილია ნამყვან საერთაშორისო ჟურნალებში, როგორცაა *Annals of Anatomy, Transplantation Proceedings, Georgian Medical News* და სხვა, ხოლო მისი მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე კორეაში, იტალიაში, ნიდერლანდებში, აშშ-ში, ბულგარეთში, სპეციალური პრემიებით აღინიშნა. მას მოპოვებული ჰქონდა სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექიმთა ფორუმის საპატიო ნომინაცია – „ევროპის ცნობილი ექიმი“.

ზურაბ ჩხაიძე გამოირჩეოდა გულწრფელი კეთილგანწყობით და მზრუნველობით როგორც სტუდენტების, ისე კოლეგების მიმართ.

ის დარჩება ჩვენს მეხსიერებაში როგორც კაცი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს საზოგადოებაში მეცნიერის და პედაგოგის მაღალი პროფესიული სტანდარტის და ზნეობრივი ხატის დამკვიდრებაში.

**დიმიტრი კორძია**

თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

**მაია ბინკინაშვილი**

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

**ნოდარ ხოდელი**

თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი



# ერთი წელი გავიდა ბატონ თენგიზ ცერცვაძის გარდაცვალებიდან...

ენიო ხაუალია

ბატონი თენგიზ ცერცვაძე იყო აბსოლუტურად გამორჩეული პიროვნება საქართველოს სამედიცინო საზოგადოებაში – მოღვაწეობით, გარეგნობით, რაფინირებული ურთიერთობის ტალანტით. ის იყო ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა კათედრის ხელმძღვანელი. თენგიზ ცერცვაძე იყო საქართველოში აივ/შიდსის სამსახურის ფუძემდებელი. პირველმა საქართველოში და ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ჯერ კიდევ 1984 წელს, დაიწყო შიდსის პრობლემაზე მუშაობა. მისივე ძალისხმევით ქვეყანაში შეიქმნა შიდსთან ბრძოლის თანამედროვე ტიპის სამსახური, რომლის ძალისხმევითაც ქვეყანამ შეძლო თავიდან აეცილებინა აივ/შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია (მისგან გამომდინარე უდიდესი ადამიანური მსხვერპლით და სერიოზული ეკონომიკური ზარალით).



**თენგიზ ცერცვაძე იყო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოების/ასოციაციის წევრი, საქართველოს შიდსის ასოციაციის პრეზიდენტი**

სხვა ინფექციური დაავადებების დარგში. შრომების ნაწილი შესრულებულია ნამყვან ამერიკელ მეცნიერებთან და ცენტრებთან ერთად. მთელი რიგი სამეცნიერო ფაქტები პირველად და მოპოვებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და/ან საქართველოში, ხოლო ზოგიერთი კვლევა ინოვაციურია საერთაშორისო მასშტაბით.

2009 წელს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრმა თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების დარგში განსაკუთრებული მიღწევებისა და პიონერული კვლევებისთვის მიიღო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის უმაღლესი ჯილდო – Dr. Lee Jong-Wook-ის პრემია. თენგიზ ცერცვაძე იყო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის და მრავალი საერთაშორისო საზოგადოების/ასოციაციის წევრი, საქართველოს შიდსის ასოციაციის პრეზიდენტი. ის არის ავტორი 120-ზე მეტი სამეც-

ნიერო ნაშრომისა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც გამოქვეყნებულია მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში. ის სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში, მათ შორის მონვეული სპიკერის რანგში.

თენგიზ ცერცვაძე დაჯილდოებული იყო საქართველოს ბრწყინვალეების და ღირსების ორდენებით, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF) ჯილდოთი, ევროპის ბიზნეს ასამბლეის „დედოფალ ვიქტორიას მედლით“. იგი არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ. 2011 წელს საქართველოში მედიცინის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის მას მიენიჭა ეროვნული პრემია.

თენგიზ ცერცვაძე წლების განმავლობაში ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ საქმიანობას, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ინფექციურ დაავადებათა დარგში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

თენგიზ ცერცვაძე გამოირჩეოდა არაორდინარული ნიჭიერებით, ლიდერის თვისებებით, კეთილსინდისიერებით, უანგარობით, საქმისადმი და ადამიანებისადმი უდიდესი ერთგულებითა და სიყვარულით, მაღალი ერუდიციით. ის იყო ნამდვილი ინტელიგენტი, შესანიშნავი მეგობარი, მეუღლე.

თენგიზ ცერცვაძე წავიდა ვალმოხდილი ქვეყნის წინაშე. მისი სახელი სამუდამოდ არის ჩანერილი საქართველოს გამოჩენილ შვილთა სიაში.

*თსუ მედიცინის ფაკულტეტის სახელით  
მაია ბინკინაშვილი  
ფაკულტეტის დეკანი,  
ასოციირებული პროფესორი  
ლალი შარვაძე  
ინფექციურ დაავადებათა და  
კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის  
ხელმძღვანელი, პროფესორი  
აკაკი აბუთიძე  
ინფექციურ დაავადებათა და  
კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის  
ასოციირებული პროფესორი*

## გია (გიორგი) ფიჩხაიას გახსენება

ბოლოდნელად დაგვტოვა გია (გიორგი) ფიჩხაიამ, აბსოლუტურად ორიგინალურმა, პოპულარულმა კაცმა.... გიას წასვლა დიდი დანაკლისია ქართული სამედიცინო საზოგადოებისათვის, მისი დიდი სამეგობროსთვის, სამედიცინო განთლებების მეცნიერების სფეროსთვის, თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტისათვის, სადაც ის დირექტორის მოადგილე და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი იყო.

გია ფიჩხაია 1960 წელს დაიბადა თბილისში. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ხოლო 1987 წელს დაიცვა დისერტაცია თერაპიის, კერძოდ კი პულმონოლოგიის დარგში. მისი სამეცნიერო ინტერესები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მას შემდეგ, რაც ის მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი გახდა, მისი მეცნიერული საქმიანობა დაუკავშირდა ნანოტექნოლოგიების, რეგენერაციული მედიცინის ბიოუსაფრთხოების სფეროს კვლევებს, ხოლო პედაგოგიური – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტს.



იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით, იყო სტუდენტების საყვარელი ლექტორი, შთაგონებელი კოლეგა და ნამდვილი მეგობარი. 2014 წლიდან დღემდე მისი ხელმძღვანელობით/თანახელმძღვანელობით მომზადებულმა 4-მა პროექტმა მოიპოვა საგრანტო დაფინანსება. მის სახელს უკავშირდება მორფოლოგიის ინსტიტუტში ბიოქიმიური და ნანოტექნოლოგიური ლაბორატორიების შექმნა. როგორც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, დიდი ძალისხმევა გასწია ინსტიტუტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. მისი უშუალო ზედამხედველობით მიმდინარეობდა ინსტიტუტის ექსპერიმენტული კორპუსის განახლება და აღჭურვა. მან ოფიციალურად დაამკვიდრა ინსტიტუტში ლაბორატორიულ ცხოველებთან მუშაობის ნორმატივები და შექმნა ექსპერიმენტული კვლევების ეთიკური საბჭო, რომელიც მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით უწევს დახმარებას შესაბამისი პროფილის სამეცნიერო კვლევებს. გია ფიჩხაიამ გამოაქვეყნა ათობით სტატია პრესტიჟულ ქართულ და საერ-

სტუდენტობის პერიოდიდანვე ფართოდ იყო აღიარებული. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი მესვეური, ამავე დროს, ინსტიტუტის სტუდენტური თეატრის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო. შემდგომშიც, არ გამართულა არც ერთი საზეიმო შეხვედრა თუ კონცერტი ექიმთა მონაწილეობით, სადაც ის აქტიური მონაწილე არ ყოფილიყო, ხშირად კი – ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორიც.

გასაოცარი შემართების კაცი იყო, მოუსვენარი, მაძიებელი, მუდამ საუბარს და კომუნიკაციას მოწყურებული. არ ილღებოდა – თითქოს პაერიდან ლებულობდა ულვე ენერჯიას.

მეგობრობაში უღალატო და შესანიშნავი ოჯახის თავკაცი იყო. მისი მეუღლე ნატო და ქალიშვილი ნინო მუდამ გრძნობდნენ მის მზრუნველობას და ყურადღებას. თავადაც სრულად იცოდნენ მეუღლისა და მამის ფასი.

შენწაირ ადამიანებს არ ივინყებენ, მარადიულ ნათელში იქნები, გია!

*დამიტრი კორძია  
თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის  
მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი*

# ნიკა და ივიკო მახარობლიშვილების ძმობის სიმფონია

6060 ჩარაჰიანი

ფილმის ჩვენება დამთავრდა...

ეკრანზე ბოლო კადრებიც ჩამოიშალა – გუსტავ მალერის სიმფონია ჯერ კიდევ ისმოდა, მაგრამ დარბაზი სიჩუმეს მოეცვა, სიჩუმეს – რომელიც მხოლოდ ნამდვილმა ისტორიამ იცის... იმ წუთას, როცა ეკრანი ჩაქრა, აუდიტორია თითქოს სხვა სივრცედ გადაიქცა – სივრცედ, სადაც დრო შეჩერდა...

„ძმები“ – ასე ჰქვია სტუდენტურ ფილმს, რომელმაც ტრაგიკული ისტორია გვიამბო ნიკა და ივიკო მახარობლიშვილების შესახებ. ნიკა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ის დაუფიქრებლად გადაეშვა წყალში ძმის საშველად და თავადაც შეუერთდა უსასრულობას...

\*\*\*

15 ივლისს თსუ-ში ფილმ „ძმების“ ჩვენება გაიმართა, რომელიც 3 წლის წინ ტრაგიკულად დაღუპული ნიკა და ივიკო მახარობლიშვილების ხსოვნას მიეძღვნა.

„ფილმის შემოქმედებითი გუნდის წევრმა ახალგაზრდებმა ნიკა და ივიკო თავიანთი თაობის გმირებად აირჩიეს. ეს თანამედროვე გმირობის მაგალითი სიყვარულს, ერთგულებას, თავგანწირვას გვიჩვენებს, ფასეულობებს, რომელთაც ნებისმიერ ვითარებაში ძალისა და იმედის მოცემა შეუძლიათ“, – ამბობს პროექტის ხელმძღვანელი ნათია რაჭველიშვილი, რომელმაც შემოქმედებითი ჯგუფის წევრები პროფესორ მანანა შამილიშვილთან ერთად შეარჩია. ალსანიშნავია, რომ ფილმი, თსუ-ს სტუდენტურ კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრის ბაზაზე შეიქმნა. კინორჩვენებას ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რომელმაც აუდიტორიას ემოციურად მიმართა და ფილმის ავტორებს დიდი მადლობა გადაუხადა.

„ნიკას რამდენიმე საგანს ვასწავლიდი. ნათელი გონების, განათლებული, ჭკვიანი, პასუხისმგებელიანი და თავმდაბალი სტუდენტი იყო. მისი ეს თავმდაბლობა ყველაზე დიდ პატივისცემას იმსახურებდა ჩემგან. სწორედ ასეთ წესიერ ადამიანებს შეუძლიათ იპოვონ თავიანთ თავში სიმტკიცე და გაიმარჯვონ თვითგადარჩენის უძლიერეს ინსტინქტზე“, – აღნიშნავს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი სალომე დუნდუა. ფილმი ნიკას შესახებ სწორედ მისი მოგონებებით იწყება.

„ძმების“ შემოქმედებითი გუნდი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის როგორც მოქმედი სტუდენტებისგან, ისე კურსდამთავრებულებისგან შედგებოდა და ფილმზე ნიკის განმავლობაში მუშაობდა. პირველი ეტაპი სცენარის კონცეფციის შემუშავება იყო. როგორც პროექტის ხელმძღვანელი ჩვენთან საუბარში განმარტავს, მთავარი სირთულე ამ ამბის გადმოცემის ფორმის და მხატვრული ხერხების მოძიება იყო – ერთი მხრივ კორექტულობა უნდა შეენარჩუნებინათ, რადგან ადრესატი ძმების ოჯახის წევრები იყვნენ, მეორე მხრივ კი თავი უნდა აერიდებინათ ყალბი პათოსისთვის. „გუნდში განვიხილავდით იდეებს, ვმსჯელობდით. ყველა გადაწყვეტილება ურთიერთშეთანხმებით მიიღებოდა და არა ერთპიროვნულად. ჩემთვის,



როგორც მენტორისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს ერთიანობა დამენახა. აი, მაგალითად, მითების ისტორია ერთ-ერთმა სტუდენტმა მოიფიქრა. ატმოსფერული ვიდეოები ერთად შევკარით. არ გვინდოდა ყოფილიყო მხოლოდ მშრალი ინტერვიუები, მხოლოდ გახსენება. ფილმისთვის გვინდოდა მხატვრული ფორმა მიგვეცა“, – გვითხრა ნათია რაჭველიშვილი.

ფილმის შექმნაში მონაწილე ყველა სტუდენტს თავისი როლი და ფუნქცია ჰქონდა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერეკლე ფოლადიშვილი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა როგორც ტექნიკური აღჭურვილობით (კამერა, მიკროფონი) და ფილმის გადაღებით, ისე მონტაჟით. მისი თქმით, გადაღებები თბილისის სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარეობდა. მათ ინტერვიუები ჩანერეს თსუ-ს პროფესორებთან, ძმების სკოლის მასწავლებლებთან და ოჯახთან.

„ამ ფილმზე მუშაობისას გაქრა ზღვარი პოლიტიკურად და ნებისმიერი სახით დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ჩვენ მოვახერხეთ გაგვეერთიანებინა ყველა, ვისთვისაც ეს თემა იყო ძვირფასი და მტკივნეული. ყველამ გვერდზე გადადო განსხვავებული შეხედულებები და უმაღლესი ფასეულობისთვის თავისი წილი აგური დადო“, – აღნიშნავს ერეკლე.

საზგადასმელია, რომ ფილმის შექმნაში ის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც ნიკა მახარობლიშვილს პირადად არ იცნობდნენ. მაგალითად თინათინ ჭავჭავანიძე, რომლის შეფასებითაც ასეთ რთულ თემაზე ფილმის გადაღება ბენვის ხიდეზე გავლას ჰგავს. „მე მაშინ ჩავირიცხე უნივერსიტეტში, როცა ნიკას უნდა დაემთავრებინა, ერთმანეთს არ ვიცნობდით. ამის მიუხედავად, იმ წამიდან, როცა ნიკას და ივიკოს ამბავი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, ძალიან განვიცადე და თითქოს ამ ტრაგედიის ნაწილად ვიგრძენი თავი“, – გვითხრა თინათინმა.

ფილმის კიდევ ერთი ღირსება ორიგინალური მუსიკალური გაფორმებაა. თსუ-ს კურსდამთავრებულმა სალომე კვირიკაშვილმა სპეციალურად ამ პროექტისთვის დაწერა მუსიკალური კომპოზიცია. გარდა ამისა, ფილმში გამოყენებულია ნინო ქათამაძის „იები“ და გუსტავ მალერის სიმფონია N5. „ვფიქრობ, შევძელით ხელოვნების მთავარი მიზნის მიღწევა – მაყურებლის კათარზისამდე მიყვანა. დარბაზში არც ერთი ადამიანი არ დარჩენილა გულგრილი“, – აცხადებს ნათია რაჭველიშვილი. ემოციური იყო ძმების დედის გამოსვლა ფილმის დასრულების შემდეგ:

„მიუხედავად იმისა, რომ ორივე შვილი ერთდროულად მესვენა სახლში, ერთხელაც არ მიფიქრია, რომ ნიკა ასე არ უნდა მოქცეულიყო... ვიცი, რომ ის სახლში ვერ დაბრუნდებოდა და ვერ მეტყოდა – დედა, ივიკო დავკარგეთ. ამ ქვეყნად ერთი შვილი დამრჩა და ყველაფერს ვიზამ, რომ ისეთივე გაიზარდოს, როგორებიც მისი ძმები იყვნენ“.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა სალომე დუნდუამ ჩვენთან საუბარში მადლიერება გამოხატა ფილმის შექმნაში ჩართული ყველა მხარის მიმართ: „უდიდესი მადლობა ქალბატონებს – ნათია რაჭველიშვილს და მანანა შამილიშვილს ამ ფილმის შექმნაში გაღებული ძალისხმევებისთვის, მულტიმედია ცენტრს და არაჩვეულებრივი ახალგაზრდების ჯგუფს შრომისთვის. მადლობა, ასევე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომლის დახმარების გარეშეც არაფერი გამოვიდოდა“.

„ძმები“ არ არის მხოლოდ ფილმი, ეს არის საგა, რომელიც მოგვითხრობს სიყვარულსა და გმირობაზე იმ ადამიანის შესახებ, რომელიც დაუფიქრებლად გადაეშვა წყალში ძმის გადასარჩენად ისე, რომ თავად ცურვაც არ იცოდა... სამაგიეროდ ფილმის ჩვენებისას დარბაზში მსხდომებმა იცოდნენ – იქ, წყლის მორეკში, ძმაც რომ არ ყოფილიყო, ნიკა სხვისთვისაც განირაგდა სიცოცხლეს...“

\*\*\*

ფილმ „ძმების“ შემოქმედებითი გუნდის წევრების სრული სია: პროექტის ხელმძღვანელი – ნათია რაჭველიშვილი, შემოქმედებითი კონსულტანტი – მანანა შამილიშვილი, კამერა, მონტაჟი – ერეკლე ფოლადიშვილი, მეორე კამერა – ზანდა გედენიძე, ანი ზედელაშვილი, ორიგინალური მუსიკა, ხმის დიზაინი – სალომე კვირიკაშვილი, სასცენარო სარეჟისორო ჯგუფი: თორნიკე ყრუაშვილი, ერეკლე ფოლადიშვილი, ანანო შალამბერიძე, მარიამ ბასილაია, მარიამ გონაშვილი, თორნიკე ელაშვილი, თინათინ ჭავჭავანიძე, ვანო კაკაშვილი, ალექსანდრე თვალავაძე, ანი ზედელაშვილი, თაკო მაისურაძე, ანანო ქობულაია, გიორგი ნანიტაშვილი, სალომე ნორაკიძე, თორნიკე ჩხეტიანი. პროექტის კოორდინატორი – მარიამ გოგოჭური.

მონაწილეობენ:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი – სალომე დუნდუა, პროფესორი – მანანა შამილიშვილი, პროფესორი – თამაზ ჯოლოგუა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი – კონსტანტინე გამსახურდია.

თბილისის უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი  
ნინო კაკულია  
მთავარი სამცხალისტი  
მაია ტორაძე  
ტექნიკური რედაქტორი  
ირმა სულიაშვილი

შურალისტი:  
თამარ დადიანი  
შურთხა ბეროშვილი  
ნინო ჩარკვიანი  
კონსულტანტი  
მერაბ კოკოჩაშვილი

ფოტოკომპოზიციონერი  
გიზო ყუფარაძე  
კომპ. უზრუნველყოფა  
მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:

მანანა შამილიშვილი,  
იაგო კაჭკაჭიშვილი,  
ირმა რატიანი,  
ირინე დარჩია,  
თინათინ ბოლქვაძე,  
ვლადიმერ პაპავა,  
ეთერ ხარაიშვილი,  
რევაზ გველესიანი,  
ეკატერინე ფირცხალავა,  
ნინო გაჩეჩილაძე,  
თემურ ნადარეიშვილი,  
ლელა ჯანაშვილი,  
მაია ივანიძე,  
მამუკა მარგველაშვილი,  
გია ლობჯანიძე,  
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:  
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11<sup>ა</sup>  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 577 52 77 73

ვებგვერდი:  
gazeti.tsu.ge

ელ.ფოსტა:  
nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge  
ბაზათი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვითმართვითი ბაჭურთი სხით ბამოიჯაბ.

ახალით ყოვალდლიარ ჩვენს ვებ-გვერდს  
gazeti.tsu.ge

მოგვანოლათ ინფორმაცია გასაუბრალად და გაეცანით საუნივერსიტეტო სინსლაჟს